



ასოციაცია “გენეზისი”



საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
სამინისტრო



ნიდერლანდების
ორგანიზაცია
საერთაშორისო
განვითარების
თანამშრომლობისათვის

პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ლიცენზირებისა და კასკორტიზაციის საკითხები

ც ნ მ ბ ა რ ი

შემდგენლები:

აბდუშელიშვილი დავითი
ბაზიარი ვერა
გიუაშვილი ნინო
დოლაბერიძე მანანა
ზარნაძე მედეა
ნიჟარაძე დეა
ხელაძე კახა
წვერავა მიხეილი
ჭეიშვილი მადონა

რეცენზენტები:

ასათიანი თენგიზი
ბუკია თინათინი
გადელია ნანა
გუჯეჯიანი რუსუდანი
თომაძე გიორგი
კავთიაშვილი ქეთევანი
ფალავა ყარამანი

სარედაქციო ჯგუფი:

გოდერძიშვილი ლიზა
მათეშვილი სანდრო
მგალობლიშვილი მაია
მგალობლიშვილი ირინა

ცნობარი მომზადებულია
ასოციაცია “გენეზისი”-ს და
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და
ლიცენზირების დეპარტამენტის
ერთობლივი ძალისხმევით.

გამოცემა დაფინანსებულია
NOVIB-ის - «ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო
განვითარების თანამშრომლობისათვის» მიერ.

This manual is a joint publication by
The Genesis Association and
*The Department of Standards, Norms and Licenses of
the Ministry of Labour, Health and Social Affairs,*
and funded by
*NOVIB (The Netherlands Organisation for
International Development Cooperation).*

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....5

თავი I. კითხვები, რომლებიც უჩნდება ებადება ღივინების მაძიებელს.....7

თავი II ღივინობაზე სამედიცინო და ფარმაცევტულ საქმიანობათა ნუსხა....13

2.1 ღივინობაზე სამედიცინო საქმიანობათა ნუსხა.....14

2.2 ღივინობაზე ფარმაცევტული საქმიანობის სახეები.....28

თავი III სამედიცინო საქმიანობის ღივინობისათვის საჭირო დოკუმენტაციის ტიპური ფორმები29

3.1 განცხადება30

3.2 ცნობები31

3.3 ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ32

3.4 სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობის პირობითი კოდები39

3.5 ფარმაცევტული საქმიანობის ღივინობისათვის საჭირო განცხადება.....40

თავი IV სამედიცინო საქმიანობის პასპორტები41

4.1. ზოგადი სამედიცინო პრაქტიკა, ოჯახის ექიმი

სამედიცინო საქმიანობა: ზოგადი სამედიცინო პრაქტიკა, ოჯახის ექიმი42

ოჯახის ექიმის სამსახურის სამედიცინო-ტექნიკური აღჭურვილობა43

4.2 თერაპია

სამედიცინო საქმიანობა: თერაპია, ამბულატორული მომსახურება:

დონე I.....46

დონე II48

დონე III50

დონე IV52

სამედიცინო საქმიანობა: თერაპია, ამბულატორული მომსახურება/დღის სტაციონარი

დონე I54

დონე II56

დონე III58

დონე IV60

თერაპია: სამედიცინო-ტექნიკური აღჭურვილობა.....62

4.3 პედიატრია

სამედიცინო საქმიანობა: პედიატრია, ამბულატორული მომსახურება

დონე I67

დონე II69

დონე III71

დონე IV74

სამედიცინო საქმიანობა: პედიატრია, ამბულატორული მომსახურება/დღის სტაციონარი

დონე I77

დონე II78

დონე III80

დონე IV83

პედიატრია: სამედიცინო-ტექნიკური აღჭურვილობა86

4.4 ქირურგია

სამედიცინო საქმიანობა: ზოგადი ქირურგია, მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური მომსახურება. (I, II, III, IV დონეები)91
ზოგადი ქირურგია: სამედიცინო-ტექნიკური აღჭურვილობა94

4.5 მეანობა-გინეკოლოგია

სამედიცინო საქმიანობა: მეანობა-გინეკოლოგია, ამბულატორული მომსახურება
დონე I101
დონე II103
დონე III105
დონე IV107
მეანობა-გინეკოლოგია: სამედიცინო-ტექნიკური აღჭურვილობა110

4.6. ლაბორატორიული დიაგნოსტიკა

სამედიცინო საქმიანობა: კლინიკო-ლაბორატორიული დიაგნოსტიკა, ამბულატორული მომსახურება
დონე I116
დონე II123
დონე III131
დონე IV143

თავი V ნოზოლოგიების ჩამონათვალი დაავადებათა სანქსორისო კლასიფიკაციის ICD-10 - ის მიხედვით.....155

თავი VI სხვადასხვა სიმპლავრის ამბულატორიულ - პოლიკლინიკური დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესები.....175

შ ე ს ა ვ ა ლ 0

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის კონცეფცია, ისევე როგორც მთლიანად ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, რეორიენტაციისა და ხელახალი ფორმირების პროცესშია. სამედიცინო მომსახურების დღეს არსებული დაყოფა დონეების მიხედვით არ შეესაბამება მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს და შემდგომ დახვეწას მოითხოვს.

ამ პროცესის დასრულებამდე, ჩვენი აზრით, აუცილებელია პირველადი ჯანდაცვის სტრუქტურების ლიცენზირებისათვის მოქმედი სტანდარტებისა და სარეგულაციო ნორმებისათვის წერილობითი ფორმის მიცემა (პირველად საბჭოთა პერიოდის შემდეგ), რაც ხელმისაწვდომს გახდის საჭირო ინფორმაციას შესაბამისი ლიცენზირების მაძიებლებისა და სამედიცინო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის. ამ მიზნით, გადაწყდა წინამდებარე ცნობარის მომზადება და გამოქვეყნება.

ცნობარში მოცემულია ინფორმაცია იმ ლიცენზირებად სამედიცინო საქმიანობებზე, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს პირველადი ჯანდაცვის მოქმედ დაწესებულებებში. აქ მოყვანილი ლიცენზირებადი სამედიცინო საქმიანობის პასპორტები შემუშავებულია შესაბამისი დარგების სპეციალისტების მიერ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით. პასპორტები შეიცავს დაწვრილებით ინფორმაციას კონკრეტული სამედიცინო საქმიანობის მოცულობის, ადამიანთა და ტექნიკური რესურსების, სივრცის დაგეგმარების და ჰიგიენური მოთხოვნების და სხვა დეტალების შესახებ.

ცნობარი, აგრეთვე, შეიცავს იმ კითხვებზე პასუხს, რაც ყველაზე ხშირად უჩნდება ლიცენზიის მაძიებელს, ლიცენზირებისათვის საჭირო საბუთების ჩამონათვალს და მათ ტიპიურ ფორმებს.

ვფიქრობთ, რომ ცნობარი დაეხმარება ლიცენზირების მაძიებელს წინასწარ განსაზღვროს თავისი შესაძლებლობები, გააუმჯობესოს და მოიყვანოს ისინი მოქმედ ნორმატივებთან შესაბამისობაში, თავიდან აიცილოს საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად შესაბამის ინსტანციებში ზედმეტი სიარული და დროის ხარჯვა.

ამავე დროს, იმის გამო, რომ ამ ცნობარში მოყვანილი სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო სტანდარტები სამუშაო ვერსიაა, რომელიც შემდგომ სრულყოფას და დაკანონებას საჭიროებს, ლიცენზიის მაძიებელს და ყველა სხვა დაინტერესებულ პირს ეძლევა საშუალება აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში, რისთვისაც, გთხოვთ, თქვენი შეკითხვები და წინადადებები წინამდებარე ბროშურის შინაარსზე მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართებზე:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტი.

მისამართი: ქ. თბილისი, 0102 დ. უხნაძის №78, მე-3 სართ

ტელ: 94-29-13

ასოციაცია “გენეზისი”.

მისამართი: ქ. თბილისი, ზუგდიდის ქ. 3/ეკლოშვილის ქ. 19

ტელ/ფაქსი: 943148, ტელ: 348951

ელ.ფოსტა: genesis@access.sanet.ge

ინტერნეტი: <http://www.genesis.org.ge>

Manual on Licensing Requirements of Primary Medical Activities

Introduction

The concept of Primary Healthcare in Georgia, as well as the Healthcare system as a whole, is undergoing a process of restructuring and reorientation. The current division of the healthcare system into various levels (primary, secondary, etc.) is not in conformity with internationally accepted standards and requires further amendment.

However, until this process has been completed it is, in our opinion, necessary to put the standards and regulations which are currently in force for licensing of primary healthcare institutions into print (for the first time after the Soviet period) and make them available to license seekers and managers of healthcare institutions. For this purpose, it has been decided to prepare and publish this manual.

The manual contains information on those medical activities and services which must be licensed and that are being provided by primary healthcare institutions – as currently defined. The Licensing “Passports” (Standard Requirement Sets) for the medical activities have been prepared by specialists of the respective fields of expertise as selected by and with the approval of the Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia. The “Licensing Passports” contain detailed information regarding the state licensing standards for human and technical resources, hygienic and space planning requirements, etc. for each of the medical activities presented.

The manual also contains answers to Frequently Asked Questions posed by license applicants, as well as the list of the necessary documents and suggested templates.

We believe that this manual will assist the prospective license applicant to assess in advance his ability to set up a healthcare service that will satisfy the current state licence standards, thereby avoiding loss of time through unnecessary visits to the licensing bodies.

Meanwhile, since the information on state licensing standards for medical activities presented in this manual is in draft version which will undergo further amendment, the opportunity is available to license applicants and other interested parties to actively participate in this process. We will therefore greatly appreciate comments, questions or suggested amendments to this manual, which may be set to any of the following addresses:

Department of Standards, Norms & Licenses

The Ministry of Labour, Health & Social Affairs

78 Dimitri Uznadze Street, Floor III, Tbilisi 0102, Georgia

tel: (+995-32) 94 29 13

The Genesis Association

3 Zugdidi Street/19 Evdoshvili Street, Tbilisi, Georgia

tel: (+995-32) 34 89 51, *tel/fax:* (+995-32) 94 31 48

e-mail: genesis@access.sanet.ge,

website: <http://www.genesis.org.ge>

თავი I

**კითხვები, რომელიც ყველაზე სერიულ უჩნდება საპედიცინო
საქმიანობის ღირებულების მაჩვენებელს**

1. რომელია ლიცენზირებადი სამედიცინო საქმიანობის სახეები?

ლიცენზირებადი სამედიცინო საქმიანობის სახეები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“. 2003 წ. 8 მაისი. იხილეთ ცხრილი (თავი II, დანართი 1.1)

2. ვის უნდა მივმართოთ ლიცენზიის მისაღებად?

სამედიცინო და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ლიცენზიას გაცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. (მისამართი: ქ. თბილისი 0160
კ. გამსახურდიას გამზ. №30)

ლიცენზიის გაცემის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტი. (მისამართი: ქ. თბილისი, 0102 დ. უზნაძის №78, მე-3 სართული ტელ: 94-29-13)

3. ლიცენზიის მისაღებად საჭირო საბუთების ჩამონათვალი და მათი სტანდარტული ფორმები, რომელთა შევსება აუცილებელია

- ლიცენზიის მაძიებელი (შემდგომში “მაძიებელი”) ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის გამცემს წარუდგენს წერილობით განცხადებას:
განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (იხ. განცხადების ფორმა), იგი ასევე უნდა შეიცავდეს:
 - ინფორმაციას—განმცხადებლის ვინაობის, მისამართის, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემების შესახებ;
 - მითითებებს, თუ რომელი ლიცენზიის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;
 - განცხადების წარდგენის თარიღს და განმცხადებლის ხელმოწერას;
- სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, მოსაკრებელი განისაზღვრება საქართველოს კანონით „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“. საბანკო რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107 ცენტრალური ბიუჯეტი შემოსავლის ანგარიში №012103654;
- განაცხადი ხარისხის გარე კონტროლის სისტემაში მონაწილეობაზე;
- ინფორმაცია ლიცენზირებადი სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელი სპეციალისტების პროფესიული მომზადების შესახებ (სახელმწიფო სერტიფიკატის ასლის წარმოდგენით);
- სამედიცინო დაწესებულების პასპორტი;
- ჰიგიენური სერტიფიკატი.

ფარმაცევტულ საქმიანობაზე ლიცენზიის მიღებისათვის საჭიროა:

1. ლიცენზიის მაძიებელი (შემდგომში “მაძიებელი”) ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის გამცემს წარუდგენს წერილობით განცხადებას:
განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (იხ. განცხადების ფორმა), იგი ასევე უნდა შეიცავდეს:
 - ინფორმაციას—განმცხადებლის ვინაობის, მისამართის, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემების შესახებ;
 - მითითებებს, თუ რომელი ლიცენზიის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;
 - განცხადების წარდგენის თარიღს და განმცხადებლის ხელმოწერას;
 2. სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, მოსაკრებელი განისაზღვრება საქართველოს კანონით „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“. საბანკო რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სატრანზიტო ანგარიში - საქართველოს ბანკის ვაკე-საბურთალოს ფილიალი 507121604, სახაზინო კოდი 3005 - სალიცენზიო მოსაკრებელი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
 3. განაცხადი ხარისხის გარე კონტროლის სისტემაში მონაწილეობაზე;
 4. ინფორმაცია ლიცენზირებადი ფარმაცევტული საქმიანობის განმახორციელებელი სპეციალისტების პროფესიული მომზადების შესახებ (სახელმწიფო სერტიფიკატის ასლის წარმოდგენით);
 5. ფარმაცევტული დაწესებულების პასპორტი;
 6. ჰიგიენური სერტიფიკატი;
 7. სპეც. კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებების ბრუნვის შემთხვევაში პასუხისმგებელი ფარმაცევტის დანიშვნის ბრძანება, ცნობები მისი ნასამართლეობისა და ნარკოლოგიურ დაწესებულებებში აღრიცხვაზე არყოფნის შესახებ.
 8. სამკურნალო საშუალებათა წარმოებისა და რეალიზაციის ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილ უნდა იქნას იმ პრეპარატების ჩამონათვალი, რომელთა წარმოების უფლებასაც ითხოვს ლიცენზიის მაძიებელი
- დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ერთ ეგზემპლარად.

4. რა არის სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულების პასპორტი?

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი მინიმალური მოთხოვნები (შენობის დახასიათება — ნახაზი, კადრები, აპარატურა, სამუშაოს მოცულობა), რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება კონკრეტულ საქმიანობაზე ლიცენზიის მისაღებად.

5. რას ნიშნავს ხარისხის გარე კონტროლის სისტემა?

ეს არის სამედიცინო დიაგნოსტიკური საქმიანობის ობიექტურობისა და საიმედოობის დადასტურების მიზნით შემუშავებული სისტემა.

6. საბუთების შეტანიდან რა დროის შემდეგ უნდა მიიღოს ორგანიზაციამ პასუხი (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი)?

ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ლიცენზიის მისაღებად განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში, ადგილზე შემოწმების შემდეგ. თუ ლიცენზიის გასაცემად, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია ერთ თვეზე მეტი, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების ვადის არა უმეტეს 3 თვემდე გაგრძელების თაობაზე. ამ გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს ლიცენზიის მაძიებელს. ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევა ჩაითვლება ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმად.

7. რა შეიძლება იყოს ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი?

ლიცენზია არ გაიცემა, თუ:

- ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს სალიცენზიო პირობებს;
- ადგილზე შემოწმებისას აღმოჩენილია სალიცენზიო პირობების დარღვევები;
- ლიცენზიის მაძიებელი ითხოვს ლიცენზიას, რომელიც გაუქმებულია და გაუქმებიდან არ გასულა ერთი წელი;
- ლიცენზიის მაძიებელს შეუჩერდა ამ სფეროში მიღებული ლიცენზიის მოქმედება და არ აღმოფხვრილა ლიცენზიის შეჩერების მიზეზი.

8. რა ვადით გაიცემა ლიცენზია სამედიცინო საქმიანობაზე?

ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.

9. რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ლიცენზიის შეჩერება და რომელ სტრუქტურას აქვს ამის უფლება?

თუ ლიცენზიის მფლობელი არღვევს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს, ლიცენზიის გამცემი (შრომის, ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის სამინისტრო) იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ. ლიცენზიის მოქმედება შეჩერდება სალიცენზიო პირობების შესრულებამდე (გამოსწორებამდე). ამისათვის მაძიებელს ეძლევა არაუმეტეს სამი თვისა. ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში. (მის. დღემის მასივი რობაქიძის 7ა).

10. რას ნიშნავს და რა შემთხვევაში ხდება ლიცენზიის გაუქმება?

ლიცენზიის გაუქმება ნიშნავს ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების ბათილად (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად) ან ძალადაკარგულად გამოცხადებას.

ლიცენზიის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი გარემოებები:

- ლიცენზია გაცემულია არაუფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ;
- ლიცენზია ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად ირღვევა ლიცენზიის მომზადების და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;
- ლიცენზიის გაუქმება პირდაპირ მითითებულია კანონში;
- არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რომელიც ლიცენზიის გამცემს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციული აქტი და ლიცენზიის მოქმედებამ (საქმიანობამ) შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს;
- არსებობს ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა ლიცენზიის გაუქმების შესახებ;
- ლიცენზიის მფლობელის გარდაცვალება (დადგენილი წესით გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება), ქმედითუუნაროდ ცნობა ან ლიკვიდაცია;
- ლიცენზიის შეჩერების ვადა გასულია და არ აღმოფხვრილა ამ შეჩერების მიზეზი;
- გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ამ ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს რომელსაც ზიანი მიადგა, მისი მოთხოვნის საფუძველზე უნდა მიეცეს ანაზღაურება.
- ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ლიცენზიის გაცემისათვის დადგენილი წესით (*იხილეთ კანონი*).
- სალიცენზიო მოწმობა ლიცენზიის გამცემს უნდა დაუბრუნდეს ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის განმავლობაში.

11. როგორ უნდა მოვიქცეთ სალიცენზიო მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში?

ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის გამცემს მიმართავს შესაბამისი წერილობითი განცხადებით სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის გაცემის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციის შეტანა მოხდება უწყებრივ და სახელმწიფო სალიცენზიო რეესტრში. სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის მოსაკრებელი შეადგენს 10 ლარს.

12. როგორ ვიქცევით დაწესებულების სახელწოდების, ან სხვა რეესტრული ცვლილების შემთხვევაში?

განმცხადებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს ლიცენზიის გამცემს და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტაცია შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში.

13. სადაო საკითხების წამოჭრის შემთხვევაში ვის უნდა მიმართოს ორგანიზაციამ და რა პერიოდში უნდა მოხდეს ეს?

ლიცენზიის გაცემაზე სამინისტროს უარი, ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ან განახლების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში.

სამინისტროში ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების, ან ოფიციალური წესით მისი გაცნობის დღიდან ერთი თვეში.

სარჩელი სასამართლოს უნდა წარუდგინოს ადმინისტრაციული აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან 6 თვის ვადაში.

14. რომელ სახელმწიფო სტრუქტურებს აქვთ დაწესებულების სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლის უფლება და რა დადგენილებით რეგულირდება ეს პროცესი?

სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება გააკონტროლოს მხოლოდ მაკონტროლებელმა ორგანომ. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მეწარმის სამეწარმეო საქმიანობის შემოწმების წინადადებით სხვა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება მიმართოს მაკონტროლირებელ ორგანოს ან სასამართლოს. მაკონტროლირებელი ორგანო უფლებამოსილია კონტროლი გაუწიოს სამეწარმეო საქმიანობას მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. (იხ.კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ 2001 წელი 8 ივნისი).

დაწესებულების სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლის უფლება აქვს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს—სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინსპექციას.

რაც შეეხება სანიტარიულ—ჰიგიენურ წესებისა და ნორმების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობას, მას განახორციელებს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ცენტრალური და ტერიტორიული ინსპექციები, საქართველოს კანონის „საქართველოს სანიტარული კოდექსის“ შესაბამისად (მაგალითად თბილისის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია);

15. რა სტრუქტურას ეკისრება ვალდებულება აცნობოს სამედიცინო დაწესებულებებს სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელ და მაკონტროლებელ წესებსა და ნორმებში შეტანილი ახალი ცვლილებების შესახებ?

ინფორმაცია სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელ და მაკონტროლებელ წესებსა და ნორმებში შეტანილ ცვლილებებზე, ასევე ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის, მისი მოქმედების შეჩერების, განახლების ან მისი გაუქმების შესახებ, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საიდუმლო ინფორმაციისა, შეიძლება ინახოს საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში—„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“

თავი II

**ლიცენზირებად სამედიცინო და ფარმაცევტულ
საქმიანობათა ნუსხა**

ლიცენზირებად სამედიცინო საქმიანობათა ნუსხა

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
2	აივ-ინფექცია/შიდსის მკურნალობა	ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	40
3	აივ-ინფექცია/შიდსის მკურნალობა	სტაციონარული დახმარება	40
4	ალერგოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
5	ალერგოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
6	ალერგოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
7	ალერგოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
8	ალკოჰოლური თრობის შემოწმება		100
9	ანგიოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
10	ანგიოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
11	ანგიოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
12	ანგიოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
13	ანესთეზიოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
14	ანესთეზიოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
15	ანესთეზიოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
16	ანესთეზიოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
17	აუდიოლოგია		20
18	ახალი დიაგნოსტიკური საშუალებების, სამკურნალო და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების და პრეპარატების კლინიკური კვლევა		50
19	ახალი სამედიცინო ხელსაწყოების, აპარატების, სამკურნალო-დიაგნოსტიკური კომპლექტების აპრობაცია		50
20	ახალი სამედიცინო ხელსაწყოების, აპარატების, სამკურნალო-დიაგნოსტიკური კომპლექტების დანერგვა		50
21	ახალი სამედიცინო ხელსაწყოების, აპარატების, სამკურნალო-დიაგნოსტიკური კომპლექტების შემუშავება		50
22	ბავშვების სამედიცინო პატრონაჟი		10

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
23	ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები		40
24	ბიოლოგიური კონტროლი		40
25	ბიოქიმიური გამოკვლევები		40
26	ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი		100
27	გასტროენტეროლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
28	გასტროენტეროლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
29	გასტროენტეროლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
30	გასტროენტეროლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
31	გაჯანსაღების ტრადიციული მეთოდებით პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა		50
32	გენეტიკური შემოწმება და ექსპერტიზა		100
33	გერიატრია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
34	გერიატრია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
35	გვამის პათოლოგანატომიური გაკვეთა		50
36	გვამის შემურვა		50
37	გინეკოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
38	გინეკოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	50
39	გინეკოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	50
40	დეკრეტირებულ პირთა პროფვარგისიანობის შემოწმება და ექსპერტიზა - IV ღონე		50
41	დერმატოლოგია და ვენეროლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
42	დერმატოლოგია და ვენეროლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
43	დერმატოლოგია და ვენეროლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
44	დერმატოლოგია და ვენეროლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
45	დერმატო-ვენეროლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა		100

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
46	ღონორობის ორგანიზება		20
47	ღროებითი შრომისუნარობის ექსპერტიზა		50
48	ენდოკრინოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
49	ენდოკრინოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
50	ენდოკრინოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
51	ენდოკრინოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
52	ენდოსკოპია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
53	ენდოსკოპია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
54	ენდოსკოპია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
55	ენდოსკოპია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
56	ენერგოინფორმატიკა		50
57	ეპიდემიოლოგია		20
58	ესთეტიკური ქირურგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	100
59	ესთეტიკური ქირურგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	100
60	ექსტრემალურ სიტუაციებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება		20
61	ვირუსოლოგიური გამოკვლევები		40
62	ზოგადი საექიმო პრაქტიკა, ოჯახის ექიმი		40
63	თერაპია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
64	თერაპია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
65	თერაპია	მოზრდილთა დღის სტაციონარი	20
66	თერაპიული კოსმეტოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
67	თერაპიული კოსმეტოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
68	თერაპიული კოსმეტოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	50

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
69	თერაპიული კოსმეტოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	50
70	იმუნოლოგიური გამოკვლევები		20
71	ინფექციური დაავადებები	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
72	ინფექციური დაავადებები	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
73	ინფექციური დაავადებები	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
74	ინფექციური დაავადებები	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
75	კარდიოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
76	კარდიოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
77	კარდიოლოგია/ კარდიორევმატოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
78	კარდიოლოგია/ კარდიორევმატოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
79	კარდიოქირურგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	50
80	კარდიოქირურგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	50
81	კბილის სატექნიკო სამუშაოები (მათ შორის ჩამოსხმა)		100
82	კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევები		40
83	კლინიკური იმუნოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
84	კლინიკური იმუნოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
85	კლინიკური იმუნოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
86	კლინიკური იმუნოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
87	კლინიკური ტოქსიკოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
88	კლინიკური ტოქსიკოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
89	კლინიკური ტოქსიკოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
90	კლინიკური ტოქსიკოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
91	კლინიკური ტრანსფუზიოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
92	კლინიკური ტრანსფუზიოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
93	კომბუსტიოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
94	კომბუსტიოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
95	კომბუსტიოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
96	კომბუსტიოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
97	კომპიუტერული ტომოგრაფია		100
98	კრიტიკული მედიცინა	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
99	კრიტიკული მედიცინა	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
100	კრიტიკული მედიცინა	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
101	კრიტიკული მედიცინა	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
102	კურორტოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
103	კურორტოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
104	კურორტოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
105	კურორტოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
106	ლაზეროთერაპია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
107	ლაზეროთერაპია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
108	ლაზეროთერაპია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
109	ლაზეროთერაპია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
110	ლოგოპედია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
111	ლოგოპედია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
112	ლოგოპედია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
113	ლოგოპედია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
114	მანუალური თერაპია		50

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
115	მასაჟი სამკურნალო, სპორტული, ჰიგიენური და კოსმეტიკური)		50
116	მეანობა	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	50
117	მეანობა და გინეკოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
118	მეტაბოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
119	მობილური სამედიცინო დახმარება სპეციალიზირებულ ტრანსპორტში		100
120	მოზრდილთა სამედიცინო პატრონაჟი		10
121	მოსახლეობის მასობრივი იმუნიზაციის ორგანიზება და ჩატარება		20
122	მძღოლების წინასარეისო სამედიცინო შემოწმება		50
123	ნარკოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
124	ნარკოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
125	ნარკოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
126	ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემუშავება, შექმნა		100
127	ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემცველი კომბინირებული პრეპარატების გადამამუშავება		100
128	ნარკოტიკული საშუალებების შენახვა-მოხმარება		50
129	ნატუროპათია		50
130	ნევროლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
131	ნევროლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
132	ნევროლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
133	ნევროლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
134	ნევროლოგია	მოზრდილთა დღის სტაციონარი	20
135	ნეიროქირურგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
136	ნეიროქირურგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
137	ნეონატოლოგია		20
138	ნეფროლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
139	ნეფროლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
140	ნეფროლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
141	ნეფროლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
142	ონკოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
143	ონკოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
144	ონკოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
145	ონკოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
146	ორგანოების და ქსოვილების აღება	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
147	ორგანოების და ქსოვილების აღება	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
148	ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვა	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	50
149	ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვა	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	50
150	ორგანოებისა და ქსოვილების შენახვა	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	50
151	ორგანოებისა და ქსოვილების შენახვა	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	50
152	ორთოდონტია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
153	ორთოდონტია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
154	ოტორინოლარინგოლოგია (მათ შორის სურდოლოგია)	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
155	ოტორინოლარინგოლოგია (მათ შორის სურდოლოგია)	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
156	ოტორინოლარინგოლოგია (მათ შორის სურდოლოგია)	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
157	ოტორინოლარინგოლოგია (მათ შორის სურდოლოგია)	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
158	ოფთალმოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
159	ოფთალმოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
160	ოფთალმოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
161	ოფთალმოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
162	ოფთალმოლოგია ოფთომეტრიული	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
163	ოფთალმოლოგია ოფთომეტრიული	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
164	ოფთალმოლოგია ოფთომეტრიული	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
165	ოფთალმოლოგია ოფთომეტრიული	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
166	პათოლოგანატომიური გამოკვლევა და ექსპერტიზა		50
167	პათომორფოლოგიური დიაგნოსტიკა		40
168	პედიატრია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
169	პედიატრია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
170	პედიატრია	დღის სტაციონარი	20
171	პროთეზირება ორთოპედიული	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
172	პროთეზირება ორთოპედიული	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
173	პროთეზირება ორთოპედიული	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	50
174	პროთეზირება ორთოპედიული	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	50
175	პროთეზირება ყურის	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
176	პროთეზირება ყურის	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
177	პროთეზირება ყურის	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	50
178	პროთეზირება ყურის	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	50
179	პროფესიულ დაავადებათა გამოკვლევა და ექსპერტიზა		50
180	პროფპათოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
181	პროფპათოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
182	პროქტოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
183	პროქტოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
184	პროქტოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
185	პროქტოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
186	პულმონოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
187	პულმონოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
188	პულმონოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
189	პულმონოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
190	რადიოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
191	რადიოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
192	რადიოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
193	რადიოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
194	რადიოლოგიური დიაგნოსტიკა		50
195	რეაბილიტაცია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
196	რეაბილიტაცია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
197	რეაბილიტაცია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
198	რეაბილიტაცია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
199	რეგიონში სამედიცინო დახმარება		50
200	რევმატოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
201	რევმატოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
202	რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა		40
203	რეპროდუქტოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
204	რეპროდუქტოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	50
205	რეფლექსოთერაპია (აკუპუნქტურა)		50
206	სადეზინფექციო საქმიანობა - დეზინსექცია		40
207	სადეზინფექციო საქმიანობა - დეზინფექცია		40
208	სადეზინფექციო საქმიანობა - დერატიზაცია		40
209	საექთნო სამედიცინო დახმარება		10
210	სამედიცინო გენეტიკა	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
211	სამედიცინო გენეტიკა	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
212	სამედიცინო გენეტიკა	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
213	სამედიცინო პარაზიტოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
214	სამედიცინო პარაზიტოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
215	სამედიცინო პარაზიტოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
216	სამედიცინო პარაზიტოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
217	სამედიცინო ხარისხის აუდიტი		200
218	სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზა		50
219	სამედიცინო-ტექნიკური ნაკეთობების საბითუმო რეალიზაცია		100
220	სამედიცინო-ტექნიკური ნაკეთობების საცალო რეალიზაცია		100
221	სამედიცინო-ტექნიკური ნაკეთობების ტექნიკური მომსახურება (ფუნქციური მდგომარეობის დადგენა, მიმდინარე და სხვა მომსახურება - მონტაჟი, შეკეთება, დემონტაჟი სახეობების მიხედვით		100
222	სამედიცინო-ტექნიკური ნაკეთობების წარმოება		100
223	სამკურნალო კვება	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
224	სამკურნალო კვება	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
225	სამკურნალო კვება	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
226	სამკურნალო კვება	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
227	სამკურნალო ფიზიკულტურა და სპორტული მედიცინა	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
228	სამკურნალო ფიზიკულტურა და სპორტული მედიცინა	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
229	სამკურნალო ფიზიკულტურა და სპორტული მედიცინა	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
230	სამკურნალო ფიზიკულტურა და სპორტული მედიცინა	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
231	სამხედრო-სამედიცინო და წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და ექსპერტიზა		50
232	სანატორიული მკურნალობა		50
233	სანიტარული განათლება.		20
234	სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა		50
235	სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა		50
236	სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება		50
237	საშუალო სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლება		100
238	საშუალო სამედიცინო საგანმანათლებლო (განათლების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული) დაწესებულებების საბაზო კლინიკური საქმიანობა		100
239	საწარმოო ტრანსფუზიოლოგია		100
240	სეროლოგიური გამოკვლევები		40
241	სექსოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
242	სექსოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
243	სპორტსმენების საექიმო კონტროლი		20
244	სტომატოლოგია თერაპიული	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
245	სტომატოლოგია თერაპიული	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
246	სტომატოლოგია ორთოპედიული	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
247	სტომატოლოგია ორთოპედიული	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
248	სტომატოლოგია ქირურგიული	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
249	სტომატოლოგია ქირურგიული	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	50
250	სტომატოლოგია ქირურგიული	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	50
251	სტომატოლოგია ქირურგიული	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	50
252	ტრავმატოლოგია და ორთოპედია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
253	ტრავმატოლოგია და ორთოპედია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
254	ტრავმატოლოგია და ორთოპედია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
255	ტრავმატოლოგია და ორთოპედია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
256	ტრანსპორტირებისას სამედიცინო თანხლება		50
257	ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა		100
258	უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო (განათლების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული) დაწესებულების საბაზო კლინიკური საქმიანობა		100
259	უმაღლესისშემდგომი პროფესიული მზადება (რეზიდენტურა)		100
260	უროლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
261	უროლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
262	უროლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
263	უროლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
264	უწყვეტი სამედიცინო განათლება		100
265	ფთიზიატრია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
266	ფთიზიატრია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
267	ფთიზიატრია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
268	ფთიზიატრია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
269	ფიზიოთერაპია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
270	ფიზიოთერაპია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
271	ფიზიოთერაპია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
272	ფიზიოთერაპია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
273	ფიტოთერაპია		50
274	ფსიქიატრია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
275	ფსიქიატრია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
276	ფსიქიატრია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
277	ფსიქიატრია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
278	ფსიქიატრიული შემოწმება		50
279	ფსიქოპათიური ნივთიერებებით გამოწვეული თრობის შემოწმება და ექსპერტიზა		100
280	ფსიქოთერაპია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
281	ფსიქოთერაპია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
282	ფსიქოთერაპია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
283	ფსიქოთერაპია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
284	ფუნქციური დიაგნოსტიკა		50
285	ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური დიაგნოსტიკა		40
286	ქირურგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
287	ქირურგია	მოზრდილთა დღის სტაციონარი	20
288	ქირურგია	ბავშვთა დღის სტაციონარი	20
289	ქირურგია გულმკერდის	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
290	ქირურგია გულმკერდის	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
291	ქირურგია ზოგადი	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
292	ქირურგია ზოგადი	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20

№	სამედიცინო საქმიანობის დასახელება	სამედიცინო საქმიანობის მოცულობა	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
293	ქირურგია ზოგადი	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
294	ქირურგია პლასტიკური და რეკონსტრუქციული	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	100
295	ქირურგია პლასტიკური და რეკონსტრუქციული	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	100
296	ქირურგია პლასტიკური და რეკონსტრუქციული	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	100
297	ქირურგია სისხლძარღვთა	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	50
298	ქირურგია სისხლძარღვთა	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	50
299	ქირურგია ჩირქოვანი	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
300	ქირურგია ჩირქოვანი	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
301	შრომათერაპია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
302	შრომათერაპია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
303	ცალკეული პროფესიებით საქმიანობის, უფლების ან ნებართვის მისაღებად მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და ექსპერტიზა - I დონე		50
304	ცალკეული პროფესიებით საქმიანობის, უფლების ან ნებართვის მისაღებად მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და ექსპერტიზა - II დონე		50
305	ცალკეული პროფესიებით საქმიანობის, უფლების ან ნებართვის მისაღებად მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და ექსპერტიზა - III დონე		50
306	ციტოგენეტიკური გამოკვლევები		40
307	ციტოლოგიური დიაგნოსტიკა		40
308	ჰემატოლოგია	მოზრდილთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
309	ჰემატოლოგია	ბავშვთა ამბულატორულ-პოლიკლინიკური დახმარება	20
310	ჰემატოლოგია	მოზრდილთა სტაციონარული დახმარება	20
311	ჰემატოლოგია	ბავშვთა სტაციონარული დახმარება	20
312	ჰომეოპათია		20

ლიცენზირებადი ფარმაცევტული საქმიანობის სახეები

№	ფარმაცევტული საქმიანობის დასახელება	სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარებში)
ა)	სამკურნალო საშუალებების (მათ შორის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებების) მომზადება და რეალიზაცია (I ჯგუფის აფთიაქი);	300
ბ)	სამკურნალო საშუალებების რეალიზაცია (II ჯგუფის აფთიაქი);	300
გ)	სამკურნალო საშუალებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) რეალიზაცია (II ჯგუფის აფთიაქი);	300
დ)	სამკურნალო საშუალებების (გარდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებებისა) რეალიზაცია (III ჯგუფის აფთიაქი);	300
ე)	ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალებების საცალო რეალიზაცია (აფთიაქის ფილიალი);	50
ვ)	სამკურნალო საშუალებების მომზადება და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების განყოფილებებზე გაცემა, საცალო რეალიზაციის გარეშე (სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების აფთიაქი);	50
ზ)	სამკურნალო საშუალებების სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების განყოფილებებზე გაცემა, საცალო რეალიზაციის გარეშე (სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების აფთიაქი);	50
თ)	სამკურნალო საშუალებების (გარდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებებისა) იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და საბითუმო რეალიზაცია (ფარმაცევტული ბაზა);	400
ი)	ნარკოტიკული საშუალებების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და საბითუმო რეალიზაცია (ფარმაცევტული ბაზა);	100
კ)	სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და საბითუმო რეალიზაცია (ფარმაცევტული ბაზა);	100
ლ)	სამკურნალო საშუალებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) წარმოება; წარმოებული სამკურნალო საშუალებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) ექსპორტი და რეალიზაცია; სამკურნალო საშუალებების (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) იმპორტი საკუთარი წარმოებისათვის (ფარმაცევტული წარმოება);	400
მ)	სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემცველი იმ კომბინირებული პრეპარატების წარმოება, რომლებიც არ მიეკუთვნება ნარკოტიკული საშუალებების ჩამონათვალს; წარმოებული პრეპარატების ექსპორტი და რეალიზაცია; პრეპარატების იმპორტი საკუთარი წარმოებისათვის (ფარმაცევტული წარმოება);	100
ნ)	სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი (ლაბორატორია).	300

თავი III

**სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირებისათვის საჭირო
დოკუმენტაციის ტიპიური ფორმები**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

დაწესებულების დასახელება

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

იურიდიული მისამართი

ფაქტიური მისამართი, ტელეფონი

.....

რეგისტრირებულია

.....

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, მოგვცეთ შემდეგი საქმიანობის წარმოების უფლება:

გავეცანი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სალიცენზიო პირობებს და მოთხოვნებს

დაწესებულების ხელმძღვანელი

ბ. ა.

განცხადებას თან ერთვის დებულებით გათვალისწინებული სათანადო საბუთები გვერდზე.

2003 წ. „—“ —————

ც ნ ო ბ ე ბ ი

სალიცენზიო სამედიცინო საქმიანობის შემსრულებელი სპეციალისტების პროფესიული მომზადების შესახებ

ლიცენზიის მაძიებელი-----

სალიცენზიო სამედიცინო საქმიანობა-----

№	გვარი, სახელი მამის სახელი	სპეც იალობა	მოცემული სპეციალობით მუშაობის სტაჟი	უმაღლესი (საშუალო) სასწავლებლის დიპლომი № ფაქულტეტი	სპეციალიზაციის და კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი საბუთი №, წელი, სპეციალობა	სერტიფიკატი №, წელი სპეციალობა მოქმედების ვადა	სამეცნიერო ხარისხი, დიპლომის №, წელი	სამეცნიერო წოდება, დიპლომის №, წელი	შენიშვნა

ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია

- 1) დაწესებულების დასახელება: _____
- 2) მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა: _____
- 3) დაკავებული ფართი (ჰა): _____
- 4) დაწესებულების სრული საბაღანსო ღირებულება (ლარი): _____
- 5) **მათ შორის - შენობა-ნაგებობები:** _____
- 6) **მოწყობილობები:** _____
- 7) ობიექტის საპროექტო სიმძლავრე (საწოლი): _____
- 8) ობიექტის ფიზიკური დატვირთვა (საწოლი): _____
- 9) იჯარით გაცემული ფართი (კვ.მ.): _____
- 10) **მოიჯარე ორგანიზაციები:** _____
(გთხოვთ წარმოადგინოთ შესაბამისი იჯარის
ხელშეკრულების ასლი) _____
- 11) **დამატებითი ინფორმაცია:** _____

ბ) ტერიტორიაზე განთავსებული თითოეული შენობა-ნაგებობის დახასიათება

შენობის და/ან ნაგებობის დასახელება	აშენების თარიღი	ბოლო კაპიტალური შეკეთების თარიღი	სართულების რაოდენობა	მზიდი კონსტრუქციები (აგური, ხე, რკინაბეტონის, კარკასული, ქვა, მსხვილი პემზა-ბლოკი, წვრილი საკ. ბლოკი)	კედლების შევსება (აგური, პანელი, ხე, მსხვილი ბლოკი, წვრილი ბლოკი)	გამწმენდი ნაგებობა (მექანიკური, ბიოლოგიური)	შენობის ფიზიკური მდგომარეობა (აგარიული, არადაზარალებული, დაზარალებული, კარგი)
1	2	3	4	5	6	7	8

გ) განყოფილების/სამსახურის ტექნოლოგიური დახასიათება

№	განყოფილების/სამსახურის დასახელება	შენობის/ნაგებობის დასახელება	სართული	დაკავებული ფართი (კვ.მ)		საწოლების რაოდენობა		პალატების რაოდენობა	შენიშვნა
				საერთო	სასარგებლო	პროექტით	ფაქტიური		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

დ) ელ.მომარაგების სისტემის დახასიათება

№	ელექტრომომარაგების წყარო (ცენტრალური გამანაწილებელი პუნქტი, სატრანსფორმატორო ქვესადგური, ელექტროჯიხური, დიზელ-გენერატორი)	რაოდენობა	სიმძლავრე (კვთ)	აქვს თუ არა სარეზერვო (მეორადი) ელექტრომომარაგების წყარო	ფუნქციური მდგომარეობა (ავარიული, არადაამაკმაყოფილებელი, დამაკმაყოფილებელი, კარგი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7

ე) ლიფტების დახასიათება

№	ლიფტის სახე (სამგზავრო, სამედიცინო დანაწესების)	რაოდენობა	მწარმოებელი ქვეყანა	მოდელი, ტიპი	საქარხნო №	ტვირთამწეობა (კგ)	გამოშვების წელი	ფუნქციური მდგომარეობა (ავარიული, არადაამაკმაყოფილებელი, დამაკმაყოფილებელი, კარგი)
1	2	3	4	5	6	7	8	9

ვ) სამრეცხაოს დახასიათება

№	დანადგარის დასახელება (სარეცხი მანქანა, საწური, საშრობი)	რაოდენობა	მწარმოებელი ქვეყანა	მოდელი, ტიპი	საქარხნო №	სიმძლავრე (კვ)	გამოშვების წელი	ფუნქციური მდგომარეობა (ავარიული, არადამაკმაყოფილებელი, დამაკმაყოფილებელი, კარგი)
1	2	3	4	5	6	7	8	9

ზ) საქვების დახასიათება

№	საქვების მოწყობილობა-დანადგარების დასახელება (ქვაბი, ბოილერი, ტუმბო და ა.შ.)	რაოდენობა	მწარმოებელი ქვეყანა	მოდელი, ტიპი	საქარხნო №	სიმძლავრე (კვ)	გამოშვების წელი	ფუნქციური მდგომარეობა (ავარიული, არადამაკმაყოფილებელი, დამაკმაყოფილებელი, კარგი)
1	2	3	4	5	6	7	8	9

თ) წყალმომარაგების სისტემის დახასიათება

№	წყალმომარაგების სახე (ცენტრალური, ადგილობრივი, არტეზიული ჭა, სხვა)	საშუალო თვიური ხარჯი (კბ.მ)	ქსელის მდგომარეობა (ავარიული, არადამაკმაყოფილებელი, დამაკმაყოფილებელი, კარგი)	შენიშვნა
1	2	3	4	5

ი) კანალიზაციის სისტემის დახასიათება

№	კანალიზაციის სახე (ცენტრალური, ადგილობრივი)	ქსელის მდგომარეობა (ავარიული, არადაზარალებული, დამაკმაყოფილებელი, კარგი)	შენიშვნა
1	2	3	4

კ) სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობის აღწერის ფორმა

განყოფილების (კაბინეტის) დასახელება	აღჭურვილობის კოდი	რიგითი №	აღჭურვილობის სრული დასახელება	მოდელი, ტიპი, (პასპორტის მიხედვით)	ქმედანა, ფირმა	გამოშვების წელი	საკარხნო №	საბაზანსო ღირებულება (ლარი)	მიმდინარე ფუნქციური მდგომარეობა (1-მუშაობს; 2-შესაკმარებელია; 3-უფარგისია)	რა მიზეზით არის შესაკმარებელი ან უფარგისი (მიზეზის ზუსტი მითითებით)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

ლ) ინფორმაცია სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობის მომსახურე პერსონალის და/ან იურიდიული პირის შესახებ

№	ფიზიკური პირის გვარი, სახელი	განათლება (საშუალო, საშუალო-ტექნიკური, უმაღლესი)	სპეციალობა (დიპლომის მიხედვით)	ინფორმაცია პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ	შენიშვნა
1	2	3	4	5	6

№	იურიდიული პირის სრული დასახელება	მისამართი, ტელეფონი	ხელშეკრულება		შენიშვნა
			№	თარიღი	
1	2	3	4	5	6

მ) ინფორმაცია სამედიცინო აირების მომსახურე პერსონალის შესახებ

№	გვარი, სახელი	განათლება (საშუალო, საშუალო-ტექნიკური, უმაღლესი)	სპეციალობა (დიპლომის მიხედვით)	ინფორმაცია პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ	შენიშვნა

ნ) ინფორმაცია გაზომვის საშუალება - სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების (სტრ) მეტროლოგიური უზრუნველყოფის შესახებ

№	იურიდიული პირის სრული დასახელება	მისამართი, ტელეფონი	ხელშეკრულება		შენიშვნა
			№	თარიღი	
1	2	3	4	5	6

ო) ინფორმაცია ელექტრო მოწყობილობებისა და ელექტრული სამედიცინო ტექნიკის დამცავი დამიწების ტექნიკური მოწყობისა და იზოლაციის წინააღობის მდგომარეობის შესახებ

	იურიდიული პირის სრული დასახელება	მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა	ხელშეკრულება		დამცავი დამიწების კონტურის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი	ბოლო შემოწმების თარიღი	დამცავი დამიწების კონტურის მდგომარეობა (ცუდი, კარგი)	შენიშვნა
				თარიღი				
1	2	3	4	5	6	7	8	9

სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობის პირობითი კოდები

კოდი	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობის დასახელება
01	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა ლაბორატორიული კვლევებისათვის
02	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა ფუნქციური დიაგნოსტიკისათვის
03	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკისათვის
04	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა ულტრაბგერითი დიაგნოსტიკისათვის
05	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკისათვის
06	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა სხვა სახის დიაგნოსტიკისათვის
07	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა რეანიმაციისათვის და ინტენსიური თერაპიისათვის
08	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა საოპერაციო და სამშობიარო ბლოკებისათვის
09	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა ენდოსკოპიისათვის
10	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა სტომატოლოგიისათვის
11	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა ორგანოთა ფუნქციის დროებითი ჩანაცვლებისათვის
12	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა ფიზიოთერაპიისათვის
13	სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა სტერილიზაციისა და დეზინფექციისათვის
S 13	კისრის დონეზე სახსრების და იოგების ამოვარდნილობა, დაჭიმულობა და დაძაბულობა
S 16	კისრის დონეზე კუნთის და მყესის დაზიანება
S 22	ნეკნ(ებ)ის, მკერდის ძვლის და ხერხემლის გულმკერდის ნაწილის მოტეხილობა
S 23	გულმკერდის სახსრებისა და იოგების შეცილება, დაჭიმვა და ღრძობა
S 32	ხერხემლის წელის ნაწილის და მენჯის მოტეხილობა
S 33	ხერხემლის წელის ნაწილის და მენჯის იოგების და სახსრების ამოვარდნილობა დაჭიმვა და ღრძობა
S 42	ზედა კიდურის სარტყელისა და მხრის მოტეხილობა
S 43	მხრის სარტყელის სახსრების და იოგების დაზიანება, ღრძობა და დაჭიმულობა
S 46	კუნთისა და მყესის დაზიანება ზედა კიდურის სარტყელისა და მხრის დონეზე
S 52	წინამხრის მოტეხილობა
S 53	იდაყვის სახსრების და იოგების ცლომა, ღრძობა და დაჭიმულობა
S 56	წინამხრის დონეზე კუნთისა და მყესის დაზიანება

კოდი	ნოზოლოგია
S 62	მოტეხილობა მაჯისა და მტევნის დონეზე
S 63	მაჯისა და მტევნის დონეზე სახსრების და იოგების დაზიანება, ღრძობა და დაჭიმულობა
S 66	მაჯისა და მტევნის დონეზე კუნთის და მყესის დაზიანება
S 72	ბარძაყის მოტეხილობა
S 73	მენჯ-ბარძაყის სახსრისა და იოგების დაზიანება, ღრძობა და დაჭიმულობა
S 76	კუნთისა და მყესის დაზიანება მენჯ-ბარძაყის სახსრისა და ბარძაყის დონეზე
S 82	წვივის ძვლების მოტეხილობა, კოჭის ძვლის ჩათვლით
S 83	მუხლის სახსრისა და იოგების ღრძობა, დაზიანება და დაჭიმულობა
S 86	კუნთის და მყესის დაზიანება წვივის დონეზე
S 92	ტერფის მოტეხილობა, კოჭ-წვივის სახსრის დაზიანების გარეშე
S93	სახსრებისა და იოგების დაზიანება, ღრძობა და დაჭიმულობა კოჭ-წვივის სახსრისა და ტერფის დონეზე
S 96	კუნთების და მყესების დაზიანება კოჭისა და ტერფის დონეზე
T 17.2	უცხო სხეული ხახაში, ცხვირ-ხახაში
T 17.3	უცხო სხეული ხორხში
T 18.5	უცხო სხეული ანუსურ ზვრელსა და სწორ ნაწლავში
T 79.4	ტრავმული შოკი
R 10	მუცლისა და მენჯის ტკივილი
R 33	შარდის შეკავება
R 58	ჰემორაგია რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში

მეანობა (I-IV დონე)

კოდი	ნოზოლოგია
Z34	ორსულთა მეთვალყურეობა, ზედამხედველობა ნორმალურ ორსულობაზე
0.36	დედათა მოვლა რეზუს ფაქტორით იმუნიზაციის დროს (რეზუს-კონფლიქტი)
0.28.0	ორსულთა ანემია
0.10	ადრე არსებული ჰიპერტენზიით გართულებული ორსულობა, მშობიარობა, ლოგინობის ხანა
0.11	ადრე არსებული ჰიპერტენზიული ავადმყოფობა თანდართული პროტეინურიით გართულებული ორსულობა, მშობიარობა, ლოგინობის ხანა
0.12	ორსულობით გამოწვეული შეშუპებები და პროტეინურია ჰიპერტენზიის გარეშე
0.12.0	ორსულთა შეშუპება
0.12.1	ორსულთა პროტეინურია
0.12.2	ორსულთა შეშუპება პროტეინურიით
0.13	ორსულობით გამოწვეული ჰიპერტენზია მნიშვნელოვანი პროტეინურიის გარეშე [მსუბუქი პრეეკლამპსია]
0.14	ორსულობით გამოწვეული ჰიპერტენზია მნიშვნელოვანი პროტეინურიით [საშუალო პრეეკლამპსია]
0.14.0	ზომიერი პრეეკლამპსია
0.15	ეკლამპსია
0.15.0	ეკლამპსია ორსულობის დროს
0.16	დედის ჰიპერტენზია, დაუზუსტებელი
0.20	სისხლდენა ორსულობის ადრეულ პერიოდში
0.20.0	მოსალოდნელი აბორტი
0.20.8	ორსულობის ადრეულ პერიოდში სისხლდენა
0.20.9	ორსულობის ადრეულ პერიოდში დაუზუსტებელი სისხლდენა
0.21	გადაჭარბებული პირღებინება ორსულობის პერიოდში
0.21.0	ორსულობის პერიოდში მსუბუქი პირღებინება
0.21.1	პირღებინება ორსულობის პერიოდში, მეტაბოლური დარღვევები 22კგ. ზემოთ
0.21.2	გვიანი პირღებინება 22კგ-ის შემდეგ
0.23	შარდსასქესო გზების ინფექციები ორსულობის პერიოდში
0.23.0	თირკმლის ინფექცია
0.23.1	შარდის ბუშტის ინფექცია
0.23.2	შარდსადენის ინფექცია
0.24	შაქრიანი დიაბეტი ორსულობის პერიოდში
0.25	არასაკმარისი კვება ორსულობის პერიოდში
0.26.0	წონის ჭარბი მატება ორსულობის დროს
0.26.1	წონის მცირე მატება
0.26.2	ორსულობის შენარჩუნება იმ პირებში, რომლებსაც ახასიათებთ ჩვ. აბორტი
0.26.4	ორსულთა ჰერპესი
0.26.5	დედის ჰიპერტენზიული სინდრომი
0.26.6	ღვიძლის დაზიანებები ორსულობის, მშობიარობის და ლოგინობის ხანაში
0.28	ანტენატალური სკრინინგის დროს გამოვლენილი გადაზრები ნორმიდან

გინეკოლოგია (I-IV დონე)

კოდი	ნოზოლოგია
N 75	ბართოლინის ჯირკვლის დაავადებები
N76	საშოსა და ვულვის სხვა ანთებითი დაავადებები
N76.0	მწვავე ვაგინიტი, მწვავე ვულვოვაგინიტი
N76.1	ქვემწვავე და ქრონიკული ვაგინიტი, ვულვოვაგინიტი
N76.2	მწვავე ვულვიტი
N76.3	წვამქვევა და ქრონიკული ვულვიტი
N76.4	ვულვის ფურუნკული
N76.5	საშოს წყლული
N76.6	ვულვის წყლული
N77.0	საშოსა და ვულვის წყლული ჰერპესვირუსული და ტუპერკულოზური ინფექციის დროს
N77.1	ვაგინიტი, ვულვიტი, ვულვოვაგინიტი: <ul style="list-style-type: none"> • კანდიდოზი • ჰერპესი • ენტერობიოზი • პაპილომავირუსული ინფექცია • ციტომეგალოვირუსული ინფექცია • ბაქტერიული ვაგინოზი • სპეციფიური ხასიათის ანთებითი დაავადებები • ქალის სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი • ტრიქომონიაზი • გონოკოკური ინფექცია • მიკოპლაზმოზი • უროგენიტალური ქლამიდიოზი
N90.1	ვულვის მასკლეროზირებული ლიქენი
B58	ტოქსოპლაზმოზი
N70.1	ქრ. სალპინგოოფორიტი
N71.1	ქრონიკული ენდომეტრიტი
Z30	სშს ჩადგმა
N60	სარძევე ჯირკვლის პათოლოგიები
N 60.0	სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი დისპლაზია, ფიბროზულ-კისტოზური მასტოპათია
N 60.1	დიფუზურ-კისტოზური მასტოპათია, კისტოზური სარძევე ჯირკვლი
N 60.2	სარძევე ჯირკვლის ფიბროადენოზი
N 62	სარძევე ჯირკვლის ჰიპერტროფია, გინეკომასტია
N 63	დაუზუსტებელი მოცულობითი წარმონაქმნი სარძევე ჯირკვალში, კვანძი, კვანძები
N80	ენდომეტრიოზი
N80.0	ადენომიოზი
N80.1	საკვერცხის ენდომეტრიოზი
N80.2	ფალაპის მილის ენდომეტრიოზი
N83	საკვერცხის, ფალაპის მილის და განიერი იოგების არაანთებადი დაავადებები
N83.0	საკვერცხის ფოლიკულური კისტა
N83.1	ყვითელი სხეულის ფოლიკულური კისტა
N83.1	საკვერცხის სხვა დაუზუსტებელი კისტები
N84	ქალის სასქესო სისტემის პოლიპი
N84.0	საშვილოსნოს ტანის პოლიპი
N84.1	საშვილოსნოს ყელის პოლიპი
N84.2	საშოს პოლიპი
N85	ქალის სასქესო ორგანოების ჰიპერპლასტიური პროცესები
N85.0	ენდომეტრიუმის ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზია
N85.1	ენდომეტრიუმის ადენომატოზური ჰიპერპლაზია

კოდი	ნოზოლოგია
N85.2	საშვილოსნოს ჰიპერტროფია
N85.3	საშვილოსნოს სუბინვოლუცია
N87	საშვილოსნოს ყელის დისპლაზია
N87.0	საშვილოსნოს ყელის მსუბუქი დისპლაზია <ul style="list-style-type: none"> • საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური სიმსივნე CIN
N87.1	საშვილოსნოს ყელის ზომიერი დისპლაზია <ul style="list-style-type: none"> • საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური სიმსივნე
N88.0	საშვილოსნოს ყელის ლეიკოპლაკია
N90.0	ვულვის მსუბუქი დისპლაზია <ul style="list-style-type: none"> • ვულვის ინტრაეპითელური სიმსივნე CIN
N90.1	ვულვის ზომიერი დისპლაზია CIN
N90.2	ვულვის მძიმე დისპლაზია
N90.4	ვულვის ლეიკოპლაკია: დისტროფია, კრაუროზი
N90.5	ვულვის ატროფია, ვულვის სტენოზი
N90.6	ვულვის ჰიპერტროფია
D25	საშვილოსნოს მიომა
N94.3	პრედმენტრუალური სინდრომი
N94.4	პირველადი დისმენორეა
N94.5	მეორადი დისმენორეა, ალგოდიმენორეა
N95	კლიმაქტერული სინდრომი
N95.0	პოსტმენოპაუზური სისხლდენა
N95.2	მენოპაუზური ატროფიული ვაგინიტი

თავი VI

სხვადასხვა სიმკვარის ამულატორიულ-პოლიკლინიკური
დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის
სანიტარიული წესები

სხვადასხვა სიმძლავრის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესები

სანიტარიული წესები და ნორმები
სანწიდან 2.13.004-03

თავი I

გამოყენების სფერო და ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. წინამდებარე სანიტარიული წესები და ნორმები შემუშავებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სხვადასხვა სიმძლავრის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ავადმყოფთა მიღება-მკურნალობისა და მომსახურე პერსონალის შრომის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფის მიზნით.
2. სანიტარიული წესები განკუთვნილია ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებებისათვის, სხვა უწყებების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომელთა გამგებლობაში შედის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები, ასევე საპროექტო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან აღნიშნული ტიპის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისათვის მიწის ნაკვეთის შერჩევის, შენობის დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის საკითხებით.
3. წინამდებარე წესები ვრცელდება ყველა ახალმშენებარე, სარეკონსტრუქციო, აგრეთვე მოქმედ ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებზე, მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად, გარდა სტომატოლოგიური პროფილის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებებისა, რომელზეც ვრცელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის №309/6 ბრძანება „სტომატოლოგიური პროფილის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებებისათვის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“.
4. წინამდებარე წესების ამოქმედებამდე არსებული ყველა შესაბამისი დაწესებულება, რომელიც არ აკმაყოფილებს მოცემულ მოთხოვნებს ვადდებულია სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ტერიტორიულ ორგანოებთან შეთანხმებით შეიმუშაოს ღონისძიებათა გეგმა (ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვა), რომელიც უზრუნველყოფს ნორმებისა და წესების მოთხოვნების შესაძლებელ მიღწევას.
5. წინამდებარე წესების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ უშუალოდ ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ხელმძღვანელებს (მთავარ ექიმებს), აგრეთვე იმ დაწესებულებების, ორგანიზაციების, უწყებების ხელმძღვანელებს, რომელთა დაქვემდებარებაშიც იმყოფება აღნიშნული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება.

თავი II

ჰიგიენური მოთხოვნები ტერიტორიისადმი

მუხლი 2.

1. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები უნდა განთავსდეს სელიტებურ, გამწვანებულ ზონებში, დამტკიცებული გეგმისა და დასახლებული ადგილების დეტალური დაგეგმარების პროექტების შესაბამისად, ფუნქციონალური ზონების გათვალისწინებით.
2. მიწის ნაკვეთის შერჩევისას საჭიროა გარემოს სანიტარიული მდგომარეობისა და გაბატონებული ქარების მიმართულების გათვალისწინება.
3. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულების შენობის განთავსება აკრძალულია მიწის იმ ნაკვეთზე, რომელიც ადრე გამოყენებული იყო ნაგვის საყრდელად, ასენიზაციის მოედნად, საქონლის სამარხად, სასაფლაოდ და ა.შ., აგრეთვე, იმ ნაკვეთებზე, რომელთა ნიადაგი დაბინძურებული იყო ორგანული, ქიმიური და სხვა სახის დამაბინძურებლებით.
4. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ტერიტორია უნდა იყოს დაშორებული რკინიგზიდან და ფიზიკური ფაქტორების ზეგავლენის სხვა მძლავრი წყაროებიდან, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №297/ნ ბრძანებით „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ დადგენილი ხმაურის დასაშვები ნორმები.
5. დასახლებული პუნქტების სელიტებურ ზონაში აშენებული ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები უნდა განთავსდეს მშენებლობის წითელი ხაზიდან არა უახლოეს 30 მეტრისა და საცხოვრებელი სახლებიდან 20-30 მეტრის დაშორებით, შენობის სიმაღლის გათვალისწინებით.
6. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ტერიტორიაზე დაუშვებელია სხვა სახის დაწესებულების, საცხოვრებელი სახლის, აგრეთვე, რაიმე სხვა ნაგებობის ან მოწყობილობის განთავსება, რომელიც ფუნქციურად არ უკავშირდება ზემოაღნიშნული დაწესებულების საქმიანობას.
7. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულების ტერიტორია ყოველდღიურად უნდა დასუფთავდეს. ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოსაგროვებელი ურნები მჭიდროდ დასურული სახურავებით, იდგმება მოასფალტებულ ან მობეტონებულ სპეციალურად მოწყობილ მოედანზე. მოედნები სისტემატურად უნდა ირეცხებოდეს და უტარდებოდეს დეზინფექცია.
8. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულების ტერიტორიაზე შენობის შესასვლელებსა და დასასვენებელ ადგილებში უნდა დაიდგას ნაგვის ურნები, რომლებიც ყოველდღიურად დაიცლება და ჩაუტარდება დეზინფექცია.
9. ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებაში ნარჩენების შეგროვება და გატანა უნდა წარმოებდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №300/ნ ბრძანების „სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლების სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

თავი III

მოთხოვნები შენობა-ნაგებობებისა და ცალკეული სათავსების განლაგებისა და დაგეგმარებისადმი

მუხლი 3.

1. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების შენობისა და ცალკეული სათავსების არქიტექტურული დაგეგმარება და კონსტრუქცია უნდა უზრუნველყოფდეს ავადმყოფთა მიღება-მკურნალობის, მომსახურე პერსონალის შრომისა და დასვენების პირობებს, აგრეთვე ოპტიმალურ სანიტარიულ-ჰიგიენურ და ეპიდსაწინააღმდეგო რეჟიმს.
2. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები უნდა განთავსდეს ცალკე მდგარ ტიპურ შენობაში ან როგორც გამონაკლისი, წინამდებარე წესების დაცვის პირობით, საცხოვრებელ ან საზოგადოებრივ შენობაში.
3. ახალი ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების განთავსება საცხოვრებელი კორპუსების დაბალ სართულებზე, თუ ამ დაწესებულებების შემადგენლობაში შედის რენტგენისა და ფიზიოთერაპიული კაბინეტები, დაუშვებელია.
4. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ძირითადი და დამხმარე სათავსების რაოდენობა და ფართი უნდა განისაზღვროს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების 2.08.02-89 „საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები“ დანართის, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების პროექტირების დამხმარე სახელმძღვანელოს მიხედვით.
5. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულების დაგეგმარება, სათავსების განლაგება და ფართი უნდა უზრუნველყოფდეს სპეციალიზებულ კაბინეტებში ავადმყოფთა მიღებისა და მკურნალობის ოპტიმალურ პირობებს დანართი I-ში მითითებული სარეკომენდაციო ნორმების შესაბამისად.
6. ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი სათავსები, სადაც განთავსდება: რეგისტრატურა, თერაპიული, ქირურგიული, ნევროლოგიური,

7. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სტრუქტურამ და სათავსების დაგეგმარება-განლაგებამ უნდა გამორიცხოს „სუფთა“ და „ინფიცირებული“ ნაკადების გადაკვეთა ან შეხება. ამ მიზნით ინფექციური დაავადებების კაბინეტი განთავსებულ უნდა იქნეს პირველ სართულზე ცალკე შესასვლელით, ხოლო დერეფანი და მოსაცდელი უნდა იყოს გაუვალი.
8. პოლიკლინიკის პედაგოგიური განყოფილება უნდა იყოს იზოლირებული მოზრდილთა განყოფილებისაგან და უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი შესასვლელი.
9. ბავშვთა პოლიკლინიკებსა და მოზრდილთა პოლიკლინიკების ბავშვთა განყოფილებაში ინფექციურ დაავადებაზე საექსპო და სიცხიანი ბავშვები არ დაიშვებიან საერთო განყოფილებაში.
10. ყველა მომსვლელი ბავშვის წინასწარი დათვალიერება უნდა განხორციელდეს მედიის მიერ ე.წ. „ფილტრში“, რომელიც უნდა განთავსდეს პოლიკლინიკის (ან ბავშვთა განყოფილების) შესასვლელში. ავადმყოფი ბავშვები ფილტრიდან იგზავნიებიან ბოქსირებულ სათავსებში, ხოლო „ჯანმრთელები“ კი – საერთო განყოფილებაში, სადაც მათ მიიღებენ უბნის პედატრები და ექიმ-სპეციალისტები. თითოეულ განყოფილებას (საერთოსა და ბოქსირებულს) უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი გასასვლელი.
11. ბავშვთა პოლიკლინიკების ან ბავშვთა განყოფილების მქონე მოზრდილთა პოლიკლინიკების ტერიტორიაზე გამოყოფილ უნდა იქნეს სპეციალური მოედნები საბავშვო ეტლების განსათავსებლად.
12. პოლიკლინიკის, ან სამშობიარო სახლის, შემადგენლობაში შემავალი ქალთა კონსულტაციის სათავსები იზოლირებული უნდა იყოს პოლიკლინიკის ან სამშობიარო სახლის სხვა სათავსებისაგან დამოუკიდებელი შესასვლელით – ვესტიბული, სადაც პაციენტებისა და პერსონალისათვის დადგმულია გარდერობი, სპეციალური მისაღები კაბინეტები (მეან-გინეკოლოგის, საპროცედურო, იურისტის და სხვ.).
13. მეან-გინეკოლოგის ისევე, როგორც დერმატო-ვენეროლოგის, ფთიზიატრის, ფსიქიატრისა და ინფექციონისტის კაბინეტები ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ პაციენტთა მოსაცდელი კორიდორები არ იყოს გაჭოლი.
14. რენტგენის კაბინეტები, მაიონებელ გამოსხივებასთან დაკავშირებული სხვა სათავსები უნდა განთავსდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 4 მარტის №41/ნ ბრძანების „სამედიცინო რენტგენურ-რადიოლოგიური დიაგნოსტიკური პროცედურებისა და მკურნალობის დროს რადიაციული დაცვის უზრუნველყოფის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.
15. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სარდაფებსა და ცოკოლის სართულებში დასაშვებია საწყოების (სამეურნეო ინვენტარის საკუჭნაო), პერსონალის სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო (გარდერობი, საშხაპე), მაგარი და რბილი ინვენტარის შესანახი, დაბინძურებული თეთრეულის შესაგროვებელ-დამხარისხებელი სათავსების მოწყობა. დაუშვებელია სახელოსნოების, ძლიერ მოქმედი, ადვილადააღებადი და საწვავი სითხეების სათავსებში განთავსება.
16. მრავალპროფილიანი საავადმყოფოს შემადგენლობაში შემავალი ამბულატორიულ-პოლიკლინიკური კორპუსები, განლაგებულ უნდა იქნეს საავადმყოფოს ტერიტორიის პერიფერიულ ნაწილში, მოსახლეობისათვის ჰქონდეს მოხერხებული, ადვილად მისაღვომი და დამოუკიდებელი შესასვლელი.

თავი IV

მოთხოვნები შენობის შიდა მოპირკეთებისადმი

მუხლი 4.

1. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სპეციალიზებული კაბინეტების სათავსების ჭერი, იატაკი და კედლები მოპირკეთებული უნდა იყოს მათი ფუნქციის შესაბამისად. კედლების ზედაპირი, ტიხრები, ჭერი და იატაკი უნდა იყოს გლუვი და მოხერხებული დეზინფექციისა და სველი წესით დამუშავებისათვის.
2. სპეციალიზებული კაბინეტების, ჰოლების, ვესტიბულების, დერეფნების, ფიზიოთერაპიული და მშრალი რეჟიმის სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური კაბინეტების კედლები რეკომენდებულია შეიღებოს სილიკატური საღებავებით (აუცილებლობის შემთხვევაში ზეთის საღებავებთან შერევით). ამ სათავსების ჭერის შესათეთრებლად გამოიყენება კირი ან წყალ-ემულსია, იატაკს უნდა ჰქონდეს მაღალი თერმოიზოლაციური თვისებები (ზეთის საღებავით შეღებილი ხის იატაკი, პარკეტი, პარკეტის ფიცარი). ვესტიბულის იატაკის მოსაპირკეთებლად გამოიყენება მექანიკური ზემოქმედებისადმი მდგრადი მასალები (მარმარილო, მარმარილოს ნაფხენი, მოზაიკური ფილები და სხვა).
3. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მუშაობის სველი რეჟიმის სათავსებში, ასევე სათავსებში, რომლებიც საჭიროებენ სველი წესით დეზინფექციას (საოპერაციო, შესახვევი, საპროცედურო, ოყნის გასაკეთებელი ოთახი და სხვა), კედლები მთელ სიმაღლეზე უნდა მოპირკეთდეს მოჭიქული ფილებითა და სხვა ტენმდეგი მასალით. იატაკის საფარად გამოიყენება

წყალგაუმტარი მასალა. საოპერაციოს, შესახვევის, დიაგნოსტიკური ლაბორატორიისა და სხვა ანალოგიური სათავსების იატაკი უნდა იყოს ცეცხლგამძლე, ანტისტატიკური. მუშაობის სველი რეჟიმის სათავსები უნდა შეიღებოს წყალგამძლე (ზეთისა და სხვა) საღებავით. ლინოლეუმის ნაჭრების ნაწიბურები ერთმანეთთან საგულდაგულოდ უნდა იყოს მირჩილული და მტკიცედ ჩამაგრებული პლინტუსების ქვეშ, რომლებიც თავის მხრივ მჭიდროდ იქნება დამაგრებული (ნაპრალის გარეშე) კედლებსა და იატაკს შორის.

4. ნიჟარებისა და სხვა სანტექნიკური ხელსაწყოების, აგრეთვე იმ მოწყობილობების ექსპლუატაცია, რომლებიც დაკავშირებულია კედლებისა და ტიხრების შესაძლო დანესტიანებასთან, საჭიროა მოპირკეთდეს მოჭიქული ფილებით ან წყალმდევი მასალით იატაკიდან 1,6 მ სიმაღლეზე და მოწყობილობებისა და ხელსაწყოების ყოველ მხარეს 20 სმ სიგანეზე.
5. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რენტგენის, ფიზიოთერაპიული, ოფტალმოლოგიური კაბინეტების, კლინიკური ლაბორატორიების, აგრეთვე სხვა ფუნქციური სათავსების მოპირკეთება, რომელთა მუშაობის სპეციფიკა საჭიროებს სპეციალურ პირობებს, უნდა შეესაბამებოდეს ასეთი სათავსებისადმი წაყენებულ იმ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოდგენილია სანიტარიულ წესებში, ინსტრუქციებში, აგრეთვე მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებში.
6. სხვადასხვა კონსტრუქციის შეკიდული ჭერის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ისეთ სათავსებში, რომლებიც არ მოითხოვენ ეპიდსაწინააღმდეგო, სადეზინფექციო რეჟიმს, ასეპტიკისა და ანტიასეპტიკის დაცვას. შეკიდული ჭერი შესაძლებელია გაკეთდეს: ვესტიბულებში, დერეფნებში, პოლებსა და სხვა დამხმარე სათავსებში, რომლებიც უშუალოდ არ ემიჯნებიან ქირურგიული კაბინეტს, საპროცედუროსა და სხვა ანალოგიურ სათავსებს. ამასთან, შეკიდული ჭერის კონსტრუქციები და მასალები უნდა უზრუნველყოფდეს მათ მოხერხებულ გაწმენდას, დასუფთავებასა და დეზინფექციას.
7. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სპეციალიზებულ კაბინეტებში პაციენტების ობიექტური გასინჯვისას კანის პათოლოგიების ნორმალური აღქმისათვის საჭიროა სათავსების კედლები შეიღებოს ნეიტრალურ ტონებში (მაგალითად; ღია რუხი), ჭერი – თეთრ ფერში, იატაკი – მუქ ტონალობაში. ფარდები სასურველია იყოს ყვითელი შეფერილობის.

თავი V

ჰიგიენური მოთხოვნები აღჭურვილობის (სამედიცინო, სანიტარიულ-ტექნიკური, საინჟინრო და სხვა დანადგარ-მოწყობილობების), ავეჯისა და ინვენტარისადმი

მუხლი 5.

ყველა ახლად მშენებარე და მოქმედი ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები უზრუნველყოფილ უნდა იქნეს წყალსადენით, კანალიზაციით, ცხელი წყალმომარაგებით, გათბობით, ვენტილაციით (საჭიროების შემთხვევაში ჰაერის კონდიციონერებით), ჩართულ იქნეს დასახლებული პუნქტის მოქმედ ელექტრო და სატელეფონო ქსელში, აგრეთვე სხვა საინჟინრო კომუნიკაციებში. მრავალსართულიანი მაღალი შენობები აღჭურვილ უნდა იქნეს ლიფტებით, ნაგავგამტარებით, ნაგავსაყრელებით.

ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სპეციალიზებული კაბინეტების, დიაგნოსტიკური ლაბორატორიების, მათ შორის ინფექციური კაბინეტის ნახმარი წყლების გაწმენდა და გაუვნებლობა უნდა მოხდეს საერთო – საქალაქო და სხვა საკანალიზაციო გამწმენდ ნაგებობებზე, ჩამდინარე წყლების გაწმენდისა და გაუვნებლობის გარანტირებული ეფექტური გაწმენდით.

ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებაში არსებული სამედიცინო, ტექნოლოგიური, სანიტარიულ-ტექნიკური, საინჟინრო და სხვა მოწყობილობები, ავეჯი, აგრეთვე ინვენტარი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ტექნიკურ პირობებსა და სტანდარტებს, იყოს გამართულ მდგომარეობაში, ჰქონდეს ჰიგიენური საფარი (შედება, მოპირკეთება), რაც უზრუნველყოფს სველი წესით დალაგებასა და დეზინფექციას. მწყობრიდან გამოსული, გაუმართავი მოწყობილობა, ავეჯი, ინვენტარი საჭიროებს დაუყოვნებლივ შეცვლას ან შეკეთებას, ხოლო უფარვისი კი - დროულ ჩამოწერას. გაუმართავი ან დეფექტიანი მოწყობილობის, ავეჯის, ან ინვენტარის გამოყენება დაუშვებელია.

სანიტარიულ-ტექნიკური ხელსაწყოები და მოწყობილობები (ონკანები, ნიჟარები, აბაზანები, უნიტაზები და სხვა) გამართული უნდა იყოს, გაიწმინდოს ჟანგისა და სხვა ნადებისაგან, არ უნდა ჰქონდეს ბზარები და სხვა დეფექტები. გაუმართავი ხელსაწყოები სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს, საპირფარეოები უნდა აღიჭურვოს კაბინეტით, საკიდებით, ხელის ელექტროსაშრობი მოწყობილობით. საექიმო კაბინეტებსა და საპროცედუროებში უნდა იყოს შემრვეიანი პირსაბანები ცივი და ცხელი წყლით. სხვა სათავსებში, სადაც საჭიროა განსაკუთრებული რეჟიმის დაცვა, უნდა იყოს შემრვეიანი ხელსაბანები მოხრილი ონკანებით.

სათავსები, რომლებშიც დაცულ უნდა იქნეს განსაკუთრებული რეჟიმი მომსახურე მედპერსონალის ხელების სისუფთავის თვალსაზრისით, აღჭურვილ უნდა იქნეს შემრვეიანი ხელსაბანებითა და მოხრილი ონკანებით.

საპირფარეშო მოწყობილი უნდა იყოს კაბინებით, საკიდებით, სარკეებით, ხელის საშრობი საშუალებებით. პერსონალისათვის სასურველია მოწყობილ იქნეს კაბინა ქალთა ჰიგიენისათვის საშხაპეთი (10 სულზე ერთი საშხაპე კაბინა).

ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში გამოყენებული ინვენტარის დეზინფექციისათვის საჭიროა დაცულ იქნეს შემდეგი წესები:

- ა) დეზინფექციისათვის გამოყენებული ჭურჭელი უნდა იქნეს ნიშანდებული.
- ბ) დეზინფექცია უნდა ხდებოდეს ინვენტარის ბოლომდე ჩაყურსვით, გაწმენდითა და შესხურებით.
- გ) პერსონალი, რომელიც ასრულებს სადეზინფექციო სამუშაოებს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საპონით, პირსახოცითა და კანის დამარბილებელი საშუალებებით.
- დ) ყველა სადეზინფექციო ხსნარი, დამზადების თარიღისა და კონცენტრაციის აღნიშვნით, ბნელ ადგილას უნდა ინახებოდეს.

სამედიცინო დანიშნულების ინსტრუმენტების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დასუფთავება და დეზინფექცია უნდა ჩატარდეს დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი VI

მოთხოვნები გათბობის, ვენტილაციის, მიკროკლიმატისა და სათავსების ჰაერისადმი

მუხლი 6.

1. გათბობის, ვენტილაციისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სათავსების მიკროკლიმატისა და ჰაერის გარემოს ოპტიმალურ პირობებს.
2. გათბობის, ვენტილაციისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების დაპროექტების, მშენებლობისა (რეკონსტრუქციის) და ექსპლუატაციისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე, სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები.
3. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სათავსების გათბობის სისტემები გათბობის მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა უზრუნველყოფდეს შენობის ჰაერის თანაბარ გათბობას, გამორიცხავდეს ჰაერის დაბინძურებას ექსპლუატაციის პროცესში გამოყოფილი სუნითა და მავნე ნივთიერებებით, არ იწვევდეს ხმაურის დასაშვები დონის მომატებას, აგრეთვე, უზრუნველყოფილ იქნეს მომსახურებისა და მიმდინარე რემონტისათვის მოსახერხებელი მარეგულირებელი მოწყობილობით.
4. გამათბობელი ხელსაწყოები საჭიროა განთავსდეს ფანჯრების ქვეშ, გისოსების გარეშე. ადმინისტრაციულ-სამეურნეო შენობებსა და ზოგიერთ სპეციალიზებულ კაბინეტებში შესაძლებელია გამათბობი ხელსაწყოების შემოღობვა დეკორაციული გისოსებით, ბადეებით ან პერფორირებული კედლებით. ამასთან, ექსპლუატაციისა და მიმდინარე დასუფთავებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ხელსაწყოთან თავისუფალი მიდგომა. ხელსაწყოს ზედაპირი უნდა იყოს გლუვი, შეღებილი და ადვილად სუფთავდებოდეს სველი წესით.
5. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სათავსების გათბობის სისტემაში თბომატარებლად გამოიყენება წყალი, რომლის ტემპერატურა გამათბობელ ხელსაწყოში 85^oჩ-ია. გათბობის ღია სისტემაში სხვა სითხეებისა და ხსნარების (ანტიფრიზი და სხვა) გამოყენება აკრძალულია.
6. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების შენობებში შემწოვი და გამწოვი ვენტილაციის გარდა უნდა მოეწიოს ბუნებრივი ვენტილაცია სარკმელების, გადასასხნელი ფრამუგების, საგდულებისა და სხვა მოწყობილობების საშუალებით ფანჯრების ალათებში, გარე კედლებში, აგრეთვე სავენტილაციო არხებში ჰაერის მექანიკური იძულების გარეშე. სარკმელების, ფრამუგების და ბუნებრივი ვენტილაციის სხვა მოწყობილობების გასაღებ-დასახრელი სამარჯვეები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში.
7. დიაგნოსტიკური ლაბორატორიების, სასტერილიზაციო, სადეზინფექციო, საპროცედურო და სხვა სათავსებში, სადაც სამედიცინო-ტექნოლოგიურ პროცესს თან ახლავს ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფა, უნდა მოეწიოს ადგილობრივი გამწოვები ან გამწოვი კარადები.
8. მაღალი სისუფთავის მოთხოვნის სპეციალიზებულ სათავსებში ჰაერის ბაქტერიული მოთესვიანობის მაჩვენებლები არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ შესაბამის მაჩვენებლებს.
9. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სპეციალიზებული კაბინეტების სათავსებში ცივ და გარდამავალ პერიოდში ჰაერის ტემპერატურა უნდა იყოს 20-23^oჩ ფარგლებში, ხოლო წლის თბილ პერიოდში – 20-25^oჩ, ფარდობითი ტენიანობა – 60-40% და ჰაერის მოძრაობის სიჩქარე – 0.2მ/წმ.

თავი VII

ჰიგიენური მოთხოვნები ბუნებრივი და ხელოვნური განათებისადმი

მუხლი 7.

1. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სპეციალიზებულ კაბინეტებსა და დამხმარე სათავსებს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი განათება. მეორადი ან ხელოვნური განათება დასაშვებია: საწოლებში, რენტგენის ფოტოლაბორატორიაში, პერსონალისთვის განკუთვნილ გასახდელებში, სანიტარიულ კვანძებსა და ზოგიერთ სხვა სათავსში, რომელთა ტექნოლოგიური და ექსპლუატაციის წესები ბუნებრივ განათებას არ მოითხოვს.
2. სპეციალიზებული კაბინეტების დერეფნებს უნდა ჰქონდეთ ბუნებრივი განათება, შენობის ტორცულ კედელსა და რეკრიაციებში არსებული ფანჯრებით.
3. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სპეციალიზებული კაბინეტების სათავსებში, სადაც ხდება ავადმყოფთა გასინჯვა, სინათლის კოეფიციენტი (ფანჯრების შემინული ზედაპირის ფართის შეფარდება იატაკის ფართთან) უნდა შეადგენდეს 1:4 – 1:5, ხოლო დამხმარე სათავსებში – არანაკლებ 1:8.
4. ყველა სპეციალიზებული კაბინეტის სათავსების სამუშაო ადგილებზე ბუნებრივი განათების კოეფიციენტი (სამუშაო ადგილზე ბუნებრივი განათების დონის პროცენტული შეფარდება ერთდროულ გარე განათებასთან) უნდა იყოს არანაკლები 1,5%-ისა.
5. ზაფხულის პერიოდში მზის სხივების თვალისმომჭრელი მოქმედებისა და გადახურებისგან დასაცავად სპეციალიზებული კაბინეტების სათავსები უნდა აღჭურვოს მზისგან დამცავი საშუალებებით (ჟალუზები, ფარდები, საჩრდილობლები და სხვა).
6. საერთო ხელოვნური განათება უნდა არსებობდეს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ყველა შენობაში, გამონაკლისის გარეშე. ცალკეული ფუნქციური ზონებისა და სამუშაო ადგილების გასანათებლად, ზემოთ აღნიშნული საერთო განათების გარდა, საჭიროა ადგილობრივი განათებაც. სათავსების განათებულობის ნორმები მოცემულია დანართ 2-ში.
7. ხელოვნური განათება უნდა შეესაბამებოდეს სათავსის დანიშნულებას, იყოს საკმარისი, უსაფრთხო, რეგულირებადი, არ იწვევდეს თვალისმომჭრელ მოქმედებასა და არასასურველ ზემოქმედებას შიდა გარემოზე.
8. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სპეციალიზებული კაბინეტების სათავსების ხელოვნური განათება უნდა ხორციელდებოდეს ლუმინესცენტური და ვარვარა ნათურებით. საექსპლუატაციოდ განკუთვნილი ლუმინესცენტური ნათურები უნდა იყოს დაკომპლექტებული განსაკუთრებით დაბალხმაურიანი გამშვები რეგულირებადი აპარატებით.
9. ჭერზე განთავსებული შენობის საერთო განათების სანათები აღჭურვილ უნდა იქნეს ერთიანი (დახურული) გამფანტველით.
10. ექიმის კაბინეტები, სადაც ავადმყოფი ისინჯება, დამატებითი კედლის განათებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

თავი VIII

ჰიგიენური მოთხოვნები სამედიცინო პერსონალის სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობებისადმი

მუხლი 8.

1. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სამედიცინო და სხვა პერსონალის ძირითადი ფუნქციური და სამუშაო ადგილები უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ჰაერცვლისა და მიკროკლიმატის (ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური შემადგენლობა) ნორმატიული პარამეტრებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 17 სექტემბრის №256/ნ ბრძანების „საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.
2. აღჭურვილობის განლაგება და მისი ექსპლუატაცია უნდა შეესაბამებოდეს შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესებს. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებებში უნდა იყოს გათვალისწინებული სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო სათავსების მოწყობა მომსახურე სამედიცინო პერსონალისა და სხვა მუშაკებისათვის.
3. მაღალაქტიური მედიკამენტებით მანიპულაციების შესრულებისათვის საოპერაციოებში, აეროზოლურ-ინჰალაციურ კაბინეტებში, შესახვევსა და სასტერილიზაციო სათავსებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამწოვი კარადები ნიჟართა და კანალიზაციაში ჩამშვებით.
4. სამედიცინო პერსონალმა, რომელიც განიცდის საწარმოო ფაქტორების არახელსაყრელ ზემოქმედებას, უნდა გაიაროს პერიოდული სამედიცინო შემოწმება.

5. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სპეციალიზებულ კაბინეტებში (კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია, ფიზიოთერაპიული და რენტგენის კაბინეტები, სადეზინფექციო კამერები და სხვა) შრომის პირობებისადმი კონკრეტული სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები განისაზღვრება ამ კაბინეტების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე არსებული სპეციალური წესებითა და ინსტრუქციებით.
6. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების პერსონალი უნდა იყოს სუფთა, სამუშაო ტანსაცმლის ბოლოები მთლიანად უნდა ფარავდეს პირად ტანსაცმელს. თმები მთლიანად უნდა იფარებოდეს ჩაჩით ან თავსაფრით. გამოსაცვლელი ფეხსაცმელი არ უნდა იყოს ნაჭრის ქსოვილის და შესაძლებელი უნდა იყოს მისი დეზინფექცია.

თავი IX

სათავსების, ავეჯისა და ინვენტარის ექსპლუატაციის ჰიგიენური რეჟიმი

მუხლი 9.

1. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სპეციალიზებული კაბინეტების ყველა სათავსი, დანადგარი, სამედიცინო და სხვა ინვენტარი უნდა ინახებოდეს სუფთად. შენობას სველი წესით ასუფთავებენ დღე-ღამეში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირადაც. სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით, ფანჯრის მინები შიდა მხრიდან უნდა იწმინდებოდეს ყოველდღიურად, გარე მხრიდან გაწმენდა კი წარმოებს გაჭუჭყიანების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ 4-6-ჯერ თვეში.
2. სათავსების სველი წესით დასუფთავებისას დაუშვებელია სინთეტიური სარეცხი საშუალებების გამოყენება. მთელ დასალაგებელ ინვენტარს (სათლი, იატაკის საწმენდი ჯოხი და სხვა) უნდა ჰქონდეს ნიშანდობა სათავსისა და დასალაგებელი სამუშაოს სახეობის მიხედვით და ინახებოდეს განცალკევებით.
3. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სპეციალიზებული კაბინეტებისა და განყოფილებების ფუნქციონალური დანიშნულების შესაბამისად, სათავსების დასუფთავება სხვადასხვაგვარად ხდება:
 - ა) პოლიკლინიკის ადმინისტრაციულ და დამხმარე სათავსებში (რეგისტრატურა, საგარდერობო, ექიმის გამოძახების სათავსი და სხვა) არსებულ მოწყობილობებს ასუფთავებენ მტკრისაგან და რეცხავენ იატაკს რომელიმე სარეცხი საშუალების 0.5%-იანი ხსნარით.
 - ბ) სპეციალიზებულ კაბინეტებში (თერაპევტის, ნევროპათოლოგის, რევმატოლოგის, ალერგოლოგის და სხვა) ავადმყოფთა მიღების დამთავრების შემდეგ ტარდება სათავსების სველი წესით დასუფთავება 0.5%-იანი სარეცხი სითხის გამოყენებით. ამასთან, 10 ლ სარეცხი სითხე გამოყენებულ უნდა იქნეს არა უმეტეს 20 მ² ფართის ზედაპირის დასამუშავებლად. აღნიშნულ სათავსებში კვირაში ერთხელ უნდა ჩატარდეს ავეჯისა და იატაკის დეზინფექცია. ავადმყოფთა გასასინჯი ტახტები უნდა დასუფთავდეს ყოველი პაციენტის შემდეგ.
 - გ) უროლოგიურ, ოფთალმოლოგიურ, ოტორინოლარინგოლოგიურ კაბინეტებში, საპროცედუროებში, შესახვევებსა და სხვა სათავსებში დასუფთავება უნდა წარმოებდეს დეზინფექციასთან ერთად.
 - დ) საოპერაციოში იატაკის, ავეჯისა და მოწყობილობების დეზინფექციას ატარებენ მუშაობის დაწყებამდე და მისი დამთავრების შემდეგ. გენერალური დასუფთავება ხდება კვირაში ერთხელ.
 - ე) დეზინფექციისათვის რეკომენდირებულია შემდეგი საშუალებები: ჰალოიდშემცველები (ქლორშემცველები, მათ შორის ელექტროქიმიური აქტივირებული სითხეები), ჟანგბადშემცველები, ზედაპირულად აქტიური საშუალებები.
4. სპეციალიზებული კაბინეტებისა და სხვა ფუნქციური სათავსების გენერალური დასუფთავება უნდა ხდებოდეს დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით, კედლების, იატაკის, მთელი დანადგარების სავალდებულო რეცხვით, აგრეთვე ავეჯის, ნათურების, დამცველი ჟალუზების და ა.შ. გაწმენდით.
5. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების სათავსებში, წელიწადში ერთხელ საჭიროების შემთხვევაში კი უფრო ხშირად, უნდა ტარდებოდეს შენობის კოსმეტიკური რემონტი. მიმდინარე დეფექტების აღკვეთა (ჭერსა და კედლებზე გამონაჟონის, ნესტის, ობის ლიკვიდაცია, ნაპრადების, ხვრელების ამოვსება, აცვენილი ფილებისა და იატაკის დაზიანებული საფრის აღდგენა) უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ.
6. ყოველწლიურად, გათბობის სეზონის დაწყებამდე, უნდა მოხდეს შენობის ყველა სათავსის მომზადება ზამთრისათვის (გათბობის, ვენტილაციის სიტემების პროფილაქტიკური დათვალიერება და რემონტი, ფანჯრების შემინვა, დათბუნება და ა.შ.). მიმდინარე და კაპიტალური რემონტის და ასევე რეკონსტრუქციის პერიოდში უნდა შეწყდეს სათავსების ფუნქციონირება.
7. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს მწვერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ შენობის პროფილაქტიკური დამუშავების ორგანიზაცია.

ცხრილი №1.

სათავსი	ფართობის ნორმა მ ² -ში
1. ვესტიბიულ-საგარდერობო მომსვლელთათვის	0,38 – ერთ მომსვლელზე, მაგრამ არანაკლებ 10-ისა
2. მოსაცდელი	1,2 – თითოეულ მომსვლელზე, მაგრამ არანაკლებ 10-ისა
3. რეგისტრატურა	8 – ერთ რეგისტრატორზე, არანაკლებ 10-ისა
4. სათავსი ექიმის ბინაზე გამოსაძახებლად:	
ა) ოთახი ექიმის ბინაზე გამოსაძახებლად;	არანაკლებ 12-ისა
ბ) ოთახი უბნის ექიმებისათვის	არანაკლებ 12-ისა, 3-ზე მეტი ექიმისას კაბინეტის ფართობი უნდა გაიზარდოს 3,25 მ ² -ით თითოეულ ექიმზე
გ) მედლების ოთახი	არანაკლებ 12-ისა, 3-ზე მეტი მადლისას კაბინეტის ფართობი უნდა გაიზარდოს 3,25 მ ² -ით თითოეულ მედლაზე
5. ექიმამდელი მილების კაბინეტი	არანაკლებ 5-ისა
6. ბავშვების მისაღები ფილტრ-ბოქსები	არანაკლებ 12-ისა
7. ბავშვების მისაღები ფილტრი	არანაკლებ 15-ისა
8. ფილტრთან არსებული ბოქსი	არანაკლებ 12-ისა
9. მიმღებ-გასასინჯი ბოქსი	არანაკლებ 15-ისა
10. პედიატრის კაბინეტი	არანაკლებ 15-ისა
11. ალერგოლოგის, ჰემატოლოგის, ენდოკრინოლოგის, ფსიქიატრის, მოზარდთა კონსულტაციის კაბინეტები	არანაკლებ 12-ისა
12. ლოგოპედის კაბინეტი	არანაკლებ 18-ისა
13. ნემსთერაპიის საპროცედურო	არანაკლებ 20-ისა
14. კარდიორევმატოლოგიური კაბინეტი საპროცედუროთი	არანაკლებ 16 + 12-ისა
15. საპროცედურო ინტრამუსკულარული ინექციებისათვის	არანაკლებ 12-ისა
16. საპროცედურო ინტრავენური ინექციებისათვის	არანაკლებ 12-ისა
17. პედიატრიული საპროცედურო	არანაკლებ 18-ისა
18. ანთროპომეტრიის კაბინეტი	არანაკლებ 15-ისა
19. კაბინეტი აცრებისათვის:	
ა) სათავსი კართოთეკისათვის;	არანაკლებ 20-ისა
ბ) აცრების კაბინეტი	არანაკლებ 12-ისა
20. სამასაჟორო ჩვილი ბავშვებისათვის	არანაკლებ 15-ისა
21. ოთახი ჩვილ ბავშვთა კვებისათვის	არანაკლებ 10-ისა
22. ქირურგის, ფთიზიატრის, დერმატოვენეროლოგის, ონკოლოგის, ტრავმატოლოგ-ორთოპედის, უროლოგის, მეან-გინეკოლოგის კაბინეტები	არანაკლებ 18-ისა

23. საოპერაციო წინასაოპერაციოსთან ერთად	არანაკლებ 22 + 8-ისა
24. სასტერილიზაციო	არანაკლებ 10-ისა
25. შესახვევი	არანაკლებ 22-ისა
26. ქირურგის ან ტრავმატოლოგ-ორთოპედის კაბინეტთან არსებული სათაბაშირო-შესახვევი	არანაკლებ 22-ისა
27. თაბაშირის შესანახი	არანაკლებ 10-ისა
28. ოთახი ოპერაციის შემდეგ ავადმყოფთა დროებითი დაყოვნებისათვის	6 – 1 ტახტზე, მაგრამ არანაკლებ 12-ისა
29. საპროცედურო ექიმ-სპეციალისტის კაბინეტთან	არანაკლებ 20-ისა
30. მეან-გინეკოლოგის კაბინეტი გინეკოლოგიური სავარძლით	არანაკლებ 18-ისა
31. ორსულთა ფსიქოპროფილაქტიკური მომზადების კაბინეტი	არანაკლებ 12-ისა
32. ოტორინოლარინგოლოგიის კაბინეტი ბგერის საიზოლაციო კაბინით	არანაკლებ 18 + 8-ისა
33. ვესტიბულარული აპარატის გამოსაკვლევი კაბინეტი	არანაკლებ 10-ისა
34. აუდიომეტრული კაბინეტი ბგერის საიზოლაციო კაბინით	არანაკლებ 16 + 8-ისა
35. ოფთალმოლოგის კაბინეტი ბნელი კაბინით	არანაკლებ 18 + 8-ისა
36. კონტაქტური ღინზების ლაბორატორია:	
ა) მოსაცდელი;	არანაკლებ 15-ისა
ბ) საპროცედურო;	არანაკლებ 12-ისა
გ) სამასალე;	არანაკლებ 25-ისა
დ) მასალისა და ინსტრუმენტების შესანახი ოთახი	არანაკლებ 10-ისა
ე) ექიმის კაბინეტი;	არანაკლებ 12-ისა
ვ) ლაბორატორიის გამგის კაბინეტი	არანაკლებ 12-ისა
37. თვალის საპროთეზო კაბინეტი:	
ა) მოსაცდელი;	არანაკლებ 15-ისა
ბ) პროთეზების შერჩევის ოთახი;	არანაკლებ 12-ისა
გ) სახელოსნო;	არანაკლებ 25-ისა
დ) მასალისა და ინსტრუმენტების შესანახი ოთახი;	არანაკლებ 10-ისა
ე) ლაბორატორიის გამგის ოთახი	არანაკლებ 12-ისა
38. ოფთალმოლოგისა და ოტორინოლარინგოლოგის კაბინეტებთან არსებული საოპერაციო წინასაოპერაციო ბლოკით	არანაკლებ 14 + 8-ისა
39. ექიმ-ინფექციონისტის კაბინეტი:	
ა) ექიმის ოთახი;	არანაკლებ 12-ისა
ბ) რექტორომანოსკოპიის ოთახი;	არანაკლებ 18-ისა
გ) ტუალეტი;	1,1 X 1,6 (კაბინა)
დ) მედლის ოთახი;	არანაკლებ 8-ისა
ე) საპროცედურო;	არანაკლებ 10-ისა
ვ) სანიტარიული ოთახი	არანაკლებ 8-ისა
40. პარაზიტოლოგიური განყოფილება (შეიძლება იყოს ბავშვთა და მოზრდილთა ერთად)	
ა) ექიმ-პარაზიტოლოგ-ეპიდემიოლოგის კაბინეტი;	არანაკლებ 12-ისა

ბ) სუფთა საპროცედურო;	არანაკლებ 12-ისა
გ) ჭუჭყიანი საპროცედურო:	
გ.ა) ჰელმინთების გამორეცხვის ოთახი;	არანაკლებ 8-ისა
გ.ბ) სათავსი ოყნის გასაკეთებლად;	არანაკლებ 8-ისა
გ.გ) სამრეცხაო და საშხაპე კაბინა;	3 – ერთ ტახტზე, მაგრამ არანაკლებ 6-ისა
გ.დ) სუფთა თეთრეულის საწყობი;	არანაკლებ 2-ისა
გ.ე) ჭუჭყიანი თეთრეულის საწყობი;	არანაკლებ 2-ისა
გ.ვ) პალატა;	არანაკლებ 6-ისა – 1 ტახტზე
გ.ზ) ტუალეტი	1,1 X 1,6 (კაბინა)
41. სტომატოლოგიური განყოფილება	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის №309/ნ ბრძანების „სტომატოლოგიური პროფილის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებებისათვის სანიტარული წესების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად
42. რენტგენოლოგიური განყოფილება	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 4 მარტის №41/ნ ბრძანების „სამედიცინო-რენტგენურ-რადიოლოგიური დიაგნოსტიკური პროცედურებისა და მკურნალობის დროს რადიაციული დაცვის უზრუნველყოფის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად
43. ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტები	იხ. ცხრილი №2.
44. კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია	იხ. ცხრილი №3.
45. სამედიცინო სტატისტიკის კაბინეტი	4–ერთ ადგილზე, არანაკლებ 12-ისა
46. საექიმო-შრომითი ექსპერტიზა:	
ა) მოსაცდელი;	არანაკლებ 24-ისა
ბ) რეგისტრატურა;	არანაკლებ 24-ისა
გ) არქივი;	არანაკლებ 24-ისა
დ) ექიმ-ექსპერტების ოთახი	არანაკლებ 30-ისა
47. სათავსი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მორიგე მედ.პერსონალისათვის:	
ა) მორიგე ექიმის კაბინეტი;	არანაკლებ 12-ისა
ბ) მოსაცდელი მომსვლელთათვის;	არანაკლებ 10-ისა
გ) ტუალეტი;	1,1 X 1,6 (კაბინა)
დ) მედლის ოთახი;	არანაკლებ 10-ისა
ე) შესახვევი-საპროცედურო;	არანაკლებ 22-ისა
ვ) ავადმყოფთა დროებით დასაყოვნებელი ოთახი;	6– ერთ ტახტზე, მაგრამ არანაკლებ 12-ისა
ზ) სადისპეჩერო და მძღოლთა ოთახი;	არანაკლებ 6+10
თ) სამედიცინო დახმარების ყუთების შესანახი სათავსი;	არანაკლებ 6-ისა
ი) ტუალეტი პერსონალისათვის.	1,1 X 1,6 (კაბინა)
48. სისხლის გადასხმის კაბინეტი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №305/ნ ბრძანების „საწარმოო ტრანსფუზიოლოგიის კაბინეტებისადმი წაყენებული სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემი-

	ოლოგიური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.
49. ტრავმატოლოგიური პუნქტის იზოლატორი	6 – ერთ ტახტზე, არანაკლებ 12-ისა
50. ალერგოლოგიური კაბინეტი:	
ა) ექიმის კაბინეტი;	არანაკლებ 12-ისა
ბ) საპროცედურო;	არანაკლებ 12-ისა
გ) ალერგენების მოსამზადებელი ოთახი.	არანაკლებ 12-ისა

ცხრილი №2.

ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტები

სათავსი	ფართობის ნორმა მ ² -ში
1. ელექტროკარდიოგრაფიის კაბინეტი	არანაკლებ 24-ისა
2. ფონოკარდიოგრაფიისა და ბალისტოკარდიოგრაფიის კაბინეტი	არანაკლებ 18-ისა
3. პერიფერიული სისხლის მიმოქცევის გამოკვლევის კაბინეტი	არანაკლებ 18-ისა
4. აიროვანი ცვლის განსაზღვრის კაბინეტი:	
ა) ძირითადი ცვლის განსაზღვრა;	არანაკლებ 18-ისა
ბ) სპიროგრაფია	არანაკლებ 18-ისა
5. ელექტროენცეფალოგრაფიის კაბინეტი	არანაკლებ 24-ისა
6. მიოგრაფიის კაბინეტი	არანაკლებ 18-ისა
7. ელექტროგასტროგრაფიის კაბინეტი	არანაკლებ 18-ისა
8. რადიოტელემეტრიის კაბინეტი	არანაკლებ 18-ისა
9. ენდოსკოპიური კაბინეტი:	
ა) გასტროსკოპიის კაბინეტი ავადმყოფის მოსამზადებელი სათავსით	არანაკლებ 18+10-ისა
ბ) ცისტოსკოპიის კაბინეტი;	არანაკლებ 24-ისა
გ) რექტორომანოსკოპიის კაბინეტი;	არანაკლებ 20-ისა
დ) სასტერილიზაციო.	არანაკლებ 8-ისა
10. ექოსკოპიის კაბინეტი	არანაკლებ 18-ისა
11. ლაპარასკოპიის კაბინეტი:	
ა) საპროცედურო (მცირე საოპერაციო);	არანაკლებ 24-ისა
ბ) წინასაოპერაციო;	არანაკლებ 10-ისა
გ) სასტერილიზაციო	არანაკლებ 6-ისა
12. ელექტროთერმოდიანოსტიკის კაბინეტი:	
ა) საპროცედურო;	6 – ერთ სავარძელზე, მაგრამ არანაკლებ 10-ისა
ბ) საფენების დასამუშავებელი სათავსი	არანაკლებ 6-ისა

კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიები

სათავსი	ფართობის ნორმა მ ² -ში
1. ანალიზების მიღების განყოფილება:	
ა) სარეგისტრაციო და მისაღები;	არანაკლებ 8-ისა
ბ) სისხლის ასაღები;	არანაკლებ 10-ისა
გ) სინჯების მისაღები და დასახარისხებელი.	არანაკლებ 4+6-ისა
2. კლინიკური განყოფილება:	
ა) საპრეპარატო სისხლის შრატის, განავლის, ნახველისა და კუჭის წვენის გამოსაკვლევად;	არანაკლებ 18-ისა
ბ) სათავსი ცენტრიფუგირებისათვის;	არანაკლებ 6-ისა
გ) სალბორანტო;	არანაკლებ 10-ისა
დ) სამრეცხაო.	არანაკლებ 12-ისა
3. ჰემატოლოგიური განყოფილება:	
ა) სინჯების შესაღები;	არანაკლებ 6-ისა
ბ) ექიმ-ლაბორანტების კაბინეტი;	არანაკლებ 12-ისა
გ) სალბორანტო.	არანაკლებ 10-ისა
4. ბიოქიმიური განყოფილება:	
ა) სალბორანტო სისხლის ბიოქიმიური კვლევისათვის;	არანაკლებ 12-ისა
ბ) ოთახი ჰორმონალური გამოკვლევებისათვის;	არანაკლებ 18-ისა
გ) სალბორანტო შარდის ბიოქიმიური კვლევისათვის;	არანაკლებ 12-ისა
დ) სათავსი ცენტრიფუგირებისათვის;	არანაკლებ 6-ისა
ე) სამრეცხაო;	არანაკლებ 12-ისა
ვ) სათავსი აწონვებისათვის;	არანაკლებ 4-ისა
ზ) სათავსი ფოტომეტრიისათვის;	არანაკლებ 15-ისა
თ) კოაგულოგრაფიის კაბინეტი;	არანაკლებ 14-ისა
ი) სათავსი აალებითი ფოტომეტრიისათვის;	არანაკლებ 8-ისა
კ) ახალი მეთოდების დანერგვის კაბინეტი.	არანაკლებ 16-ისა
5. მიკრობიოლოგიური განყოფილება:	
ა) ანალიზების მისაღები და სარეგისტრაციო;	არანაკლებ 5-ისა
ბ) საპრეპარატო;	არანაკლებ 18-ისა
გ) ბოქსი პრეპოქსთან ერთად;	არანაკლებ 4+2-ისა
დ) თერმოსტატული კამერა;	არანაკლებ 3-ისა
ე) სათავსი ავტოკლავირებისათვის;	არანაკლებ 10-ისა
ვ) ექიმ-მიკრობიოლოგის კაბინეტი;	არანაკლებ 12-ისა
ზ) ნიადაგების მოსამზადებელი;	არანაკლებ 8-ისა
თ) სამრეცხაო.	არანაკლებ 12-ისა
6. ციტოლოგიური გამოკვლევების განყოფილება:	
ა) სალბორანტო	არანაკლებ 12-ისა

განათებულობის სარეკომენდაციო სიდიდეები ამბულატორიულ-პოლიკლინიკური ტიპის დაწესებულების ცალკეულ კაბინეტებსა და სათავსებში

კაბინეტი	სამუშაო ზედაპირების განათებულობის კოეფიციენტი ლქ	სინათლის წყარო
მოსაცდელი კორიდორი პოლიკლინიკაში	150 75	ლ.ნ. ე.ნ.**
პედიატრის კაბინეტი მიმღებ-დასათვალიერებელი ბოქსით	500 200	ლ.ნ. ე.ნ.
ქირურგის, ტრავმატოლოგის კაბინეტები:	500 200	ლ.ნ. ე.ნ.
• საოპერაციო, სათაბაშირე, შესახვევი	500 200	ლ.ნ. ე.ნ.
• წინასაოპერაციო	300 150	ლ.ნ. ე.ნ.
მეან-გინეკოლოგის კაბინეტი	500 200	ლ.ნ. ე.ნ.
ექიმ თერაპევტის კაბინეტი	500 200	ლ.ნ. ე.ნ.
ექიმ-ლაბორანტის კაბინეტი	300 150	ლ.ნ. ე.ნ.
*ლ.ნ. – ლუმინესცენტური ნათურა **ე.ნ. – ელექტრული ნათურა		

სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობების დეზინფექცია

დეზინფექციის მეთოდი	სადეზინფექციო მასალა	დეზინფექციის რეჟიმი					გამოყენება	დეზინფექციის ჩატარების პირობები	გამოყენებული მოწყობილობა
		ტემპერატურა		კონცენტრაცია %	ექსპოზიცია წუთებში				
		ნომინალური მნიშვნელობა	ზღვრული მნიშვნელობა		ნომინალური მნიშვნელობა	ზღვრული მნიშვნელობა			
—	1. დისტილირებული წყალი; 2. დისტილირებული ორნახშირმუცა ნატრიუმი	98	+ 1	— 2.0	45 30	45 45	რეკომენდებულია მინის ნაკეთობებისათვის, მედეგი პოლიმერული მასალებისა და რეზინისათვის	მთლიანი ჩაძირვა წყალში	სადეზინფექციო მადულარა
—	წყალნაჯერი ორთქლი მაღალი წნევის ქვეშ = 0,5 კგ/ სმ	110	+ 2	—	15	+5	რეკომენდებულია მინის, მეტალის, რეზინის, ლატექსის, თერმომდგრადი პოლიმერების ნაკეთობებისათვის		კამერები
ჰაეროვანი	მშრალი ცხელი ჰაერი	120	+ 4	—	20	+5	რეკომენდებულია მინის და მეტალის ნაკეთობებისათვის	დეზინფექცია უნდა ჩატარდეს შეფუთვის გარეშე	სტერილიზატორი
ქიმიური	დიქლორ-1	არანაკლები 18	—	1,0 3,0 3,0	—	—	რეკომენდებულია მინის, კოროზიამდედეგი მეტალის, პოლიმერული ნაკეთობებისათვის	ორჯერადი გაწმენდა დოლბანდის ან ნარმის ქსოვილით გაწმენდებს შორის 10-15 ინტერვალით	—
	სულფოქლორანტინი		—	0,1 1,0 0,2	—	—			—
	ქლორცინი		—	0,5 3,0 1,0	—	—			—
	დეზამი		—	1,25 - 0,5	—	—			—